პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 194 (12706)

სამშაბათი, 20 აგვისტო, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კპ XXII ყრილობის შესახვედრად

რას პირულობთ თქვენ?

ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი შვიდწლედის მეუთე წლის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ქუთაისის ავტომშენებლებთან. ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად, კიროველები წარმატებით იბრძვიან. წელს საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს რამდენიმე ათეული უნივერსალური სახარატო ჩარხი.

განვლილი შვიდი თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის, მასალების და ნედლეულის ეკონომიური ხარჯვის შედეგად გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 25 ათასი მანეთით შემცირდა. ყოველ ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე დახარჯულია იმაზე ნაკლები ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

წელს ქარხანაში ათვისებულია ოთხი ახალი ჩარხის მოდელი. აღსანიშნავია, რომ ამ ახალი ჩარხების დამზადება პირველად მთელ ჩვენს ქვეყანაში კიროველებმა დაიწყეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

გუშინ კიროველებმა განიხილეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის წერილი, ერთსულოვნად მიიწონეს ზესტაფონელთა თაოსნობა — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება და ახალი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ საქართველოს კპ XXII ყრილობას.

ჩარხმშენებლებმა გადასინჯეს თავიანთი საშუალებანი, იმსჯელეს და ახალი, გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. მათ გადაწყვიტეს:

ყრილობის მუშაობის მსვლელობაში შეასრულონ საერთო პროდუქციის გამამავე დროს წლის ბოლოდან საამბულოს დამატებით [illegible] ათეული [illegible]

შარმანდელთან შედარებით წუნი შეამცირონ 25 პროცენტით;

დაზოგონ 75 ტონა შავი ლითონი, 250 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია;

ახალი საწარმოო ვალდებულება რომ იკისრეს, თბილისელმა ჩარხმშენებლებმა გუშინვე დაიწყეს შემოქმედებითი შრომა მის გასანაღდებლად. საამქროებში, ბრიგადებში, ქარხნის ყოველ უბანზე ახლა იმისათვის შრომობენ და იბრძვიან, რომ თავი არ შეირცხვინონ, სიტყვა არ გატეხონ. საქართველოს კპ XXII ყრილობის მუშაობის დღეებში სამშობლოს უკეთაკონ ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულება.

კომუნისტური შრომის საწარმოს გვპირდება

თბილისის კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივი შვიდწლედის განვლილ პერიოდში მაღალნაყოფიერად შრომობს.

სიტყვიერად ყველა ეკონომიურ-ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით ასრულებს გეგმებს, ეუმჯობესებს წარმოების კულტურას და მუშათა შრომა სულ უფრო სახალისო ხდება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს კერამიკოსების ორი უკანასკნელი წლისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები და კერამიკულ კომბინატს „კომუნისტური შრომის საწარმოს მაღალი წოდება მიენიჭა.

წარმატებით აღფრთოვანებულმა კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი და შვიდი თვის გეგმა ვადამდე 107,4 პროცენტით გაასრულა. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 6.738 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 2.227 ცალი ნახევრადფაიფურის სანტექნიკური მოწყობილობა. მოწინავე საწარმოს კოლექტივი მიღწეულით არასოდეს არ კმაყოფილდება, ყოველთვის ეძებს რეზერვებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამჯერად კერამიკოსებმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად გულდასმით შეისწავლეს გამოუყენებელი რეზერვები და ვალდებულება იკისრეს:

წლიური გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 12 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 5.000 ცალი ნახევრადფაიფურის სანტექნიკური მოწყობილობა და 60 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი;

გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 1,2 პროცენტით;

მასალების მომეპირნედ ხარჯვით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღონ ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეიტანონ 75 ათასი მანეთი;

აითვისონ და წარმოებაში დანერგონ სამი ახალი სახის ნახევრადფაიფურის ნაკეთობა. 25 ახალი მხატვრული კერამიკული ნაწარმი;

აითვისონ და წარმოებაში დანერგონ ძვირად ღირებული პეგმატიტის შემცველი არგატის სტერლიგი;

წარმოებაში დანერგონ ახალი ნახევრადფაიფურის მასა, რომელიც დაშაადდება გაცილებით დაბალ ტემპერატურაზე და წარმოების საწვავის დიდ ეკონომიას მისცემს, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი;

დაზოგონ 200 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 340 ტონა პირითი საწვავი;

შვიდი ნოემბრისათვის დაამთავრონ 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და საწარმოს ფონდიდან საძირკველი ჩაუყარონ 70-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

შრომის ადამიანები — ლიტერატურის გმირები

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში, თავისი დროის ჭეშმარიტ გმირად დაამკვიდრა ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანი — მებრძოლი და შრომელი, კომუნიზმის მშენებელი. შრომის ადამიანთა საბრალეზე ბევრ რევოლუციამდელ მხატვრულ ნაწარმოებშიც ყოფილა. მაგრამ ისინი, როგორც წესი, წარსულის მხატვართა წარმოსახვით არ წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანეს ძალას, არ განასახიერებდნენ ისტორიის უძლეველ წინსვლას ქვეყნად უკეთესი, სამართლიანი ცხოვრებისა გამარჯვებისაკენ. საჭირო იყო დიდი პროლეტარული რევოლუცია, რომ ლიტერატურის თემა გამხდარიყო შრომა, როგორც მხატვრული შემოქმედების უკეთილშობილურესი თემა, რომ ლიტერატურას დაენახა და წარმოესახა შრომელი ხალხი როგორც ისტორიის ნამდვილი შემოქმედი, რომ ეპოვნა და აღემაღლებინა ახალი გმირი, რომელმაც თვითონ იკისრა კაცობრიობის წინა თაობათა საუკუკარი იდეალების განხორციელების ისტორიული მისია.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ მილიონობით და ათეულ მილიონობით შრომელი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს. ჩვენი პარტიის მთელი გმირული ისტორია გაცისკროვნებულია ლენინის ამ დამკიდებულებით შრომის ადამიანებისადმი, ხალხისადმი, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე პარტია ყოველთვის ყურადღებას მაღალ აყენებდა შრომელი მასების ინტერესებს, იგი ფლობდა და განუმტკიცებდა მათ რწმენას, რომ მსოფლიოს მბრძანებელი იქნება შრომა.

ამ მაღალი მიზნის მისაღწევად პარტია რაზმავდა ხალხს და წინ უძღოდა მას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ძველ სამყაროზე ოქტომბრის იერიშისათვის, რომელიც იმით დამთავრდა, რომ შრომა განთავისუფლდა კაპიტალის უღლისაგან. პირველ კომუნისტურ შაბათობათა — თავისუფალ შრომელთა შემოქმედებითი თვითმოქმედების ამ დიდი თაოსნობის შემდეგ პარტია უძღოდა და მიუძღვის ჩვენს ქვეყანას კომუნისტური შრომის გამარჯვებისაკენ.

აშენებს რა კომუნიზმს, საბჭოთა ხალხმა, ცხადყო დაუშრეტელი ძალა და მომხიბვლელი სილამაზე განთავისუფლებული შრომისა, რომელიც ზეშთაგონებულია ნათელი იდეალებით და რომელიც მრავალ მილიონობით ადამიანის კეთილშობილურ საარსებო მოწოდებად გადაიქცა. ეს შრომა აღამაღლებს ადამიანს, შემოქმედების ბედნიერებით აღავსებს მის ცხოვრებას. „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲪᲮᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲝᲑᲘᲗ, ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი. — ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲒᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐ. ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲒᲝᲑᲐ“.

შრომის ადამიანი ჩვენი დროის, კომუნისტური შშენებლობის გმირული ეპოქის აღიარებული გმირია. იგი მიაჩნია თავის მთავარ გმირად სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასაც — კომუნიზმისათვის ბრძოლის ლიტერატურას. ამ გმირთან იყო დაკავშირებული მისი წარმოშობა, მის მიერ განვლილი მთელი გზა, მისი დღევანდელი განვითარება. სწორედ იგი, ეს გმირი, განსაზღვრავს სოციალისტური სამყაროს ლიტერატურის სახეს, მის რევოლუციურ ნოვატორულ არსს.

ბურჟუაზიული საზოგადოების ლიტერატურის ისტორია მნიშვნელოვანწილად ნამდვილი გმირის ძიების ისტორია იყო. გმირისა, რომელშიც თანამედროვეები შეძლებდნენ ეპოვნათ თავიანთი ცხოვრებისეული იდეალი, თავიანთი მისწრაფებისა და იმედების გამოხატულება. ამას აშკარად გრძნობ, როცა ფურცლავ გასული საუკუნის ლიტერატორთა მრავალთ და მრავალ წიგნს, რომელიც ნამდვილ გმირს დაეძებდნენ.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას არ სჭირდება დიოგენის ფარანი, რომ მოძებნოს ადამიანი, რომელიც ღირსი იქნება იყოს მხატვრული ნაწარმოების გმირი. ჩვენს დროში გმირს წარმოშობს არა ხელოვნის ოცნება, არამედ რეალური სინამდვილე, რომელიც ყველაზე გაბედულ ოცნებათა განსახიერებაა, თავისუფალი შრომა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ყველგან, საითაც უნდა გაიხედოს ხელოვანმა, იგი შეხვდება თავისუფალ მშრომელს, რომელიც ღირსია იყოს მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტი გმირი. სწორედ აქ განსაზღვრება ლიტერატურის განვითარების პარტიის მიერ დასახული მთავარი ხაზი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მხატვრები განუურელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, სიმართლეთ, მკაფიოდ გვიჩვენებდნენ მის დიად გარდამქმნელ საქმიანობას, საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს.

ჩვენს ლიტერატურაში შრომის თემა პირველად არის ნაჩვენები, როგორც ახალი ადამიანის, მაღალი ზნეობრივი იდეალების, უკეთილშობილურესი ჰუმანიზმის თემა, როგორც საბჭოთა მშრომელის ცხოვრებისეული მოწოდების დიდი თემა. ილუსტრაცია, ამა თუ იმ საწარმოო პროცესის აღწერა როდი შეიდგენს ამ თემის შინაარსსა და პათოსს. თემაში მთავარია სულიერი გამდიდრების, პიროვნების ჰარმონიული განვითარების პროცესი, პიროვნებისა, რომელმაც შეიცნო სრული ბედნიერება თავისუფალი შრომისა საერთო კეთილდღეობისათვის და რომელიც თავის ცხოვრების გზას სახავს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მიხედვით. სწორედ აქ ვლინდება განსაკუთრებული ძალით აღმზრდელობითი როლი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა, რომელიც მოწოდებულია დარაზმოს ადამიანები ახალი და ახალი საქმეებისათვის, გაადვიძოს მათს გულში შემოქმედების მძლავრი ენერგია, გამოაწრთოს მათი ნებისყოფა, იყოს მათთვის სიხარულისა და შთაგონების, რევოლუციური ოპტიმიზმის წყარო, განუმტკიცოს მათ ჩვენი კომუნისტური იდეალების გამარჯვების რწმენა.

ПРАВДА

18 აგვისტოს მოწონავე

სოციალისტური რეალიზმის ეს ჰუმანისტური მოწოდება, კეთილმობილური აღმზრდელობითი დანიშნულება რეაქციული ბურჟუაზიული ლიტერატურის აპოლოგეტებს მიაჩნიათ „უტილიტარულ“ მიზნად, რომელიც თითქოს არ იყოს დამახასიათებელი და უცხო იყოს ხელოვნებისათვის. ასეთ მტკიცებაში, რომელიც მხოლოდ დაუფარავ ღვარძლს გამოხატავს სოციალისტური რეალიზმის მიმართ, სალი აზრის ნატამალიც არ არის. ხელოვნება, თავისი საუკეთესო გამოვლინებებით, ყოველთვის ადამიანს ემსახურებოდა, ღრმად იყო დაინტერესებული მისი ბედით, მისი ზნეობრივი თვისებებით, მისი იდეალების სიწმინდით, მისი მომავლით. სწორედ ყოველივე ეს ეჩვენებათ უხეშ „უტილიტარულობად“ ესთეტიკის რეაქციონერ პოლიტიკანებს. მაშ რატომ მიმართავენ ისინი თავიანთ იარაღს მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ? მათ ხომ არანაკლები სიფუძვლით შეუძლიათ „უტილიტარულობა“ „ბრალად“ დასდონ სოფოკლესა და ევრიპიდეს, სერვანტესსა და დანტეს, რაფაელსა და შექსპირს, ბეთოვენსა და ჰაინეს, პუშკინსა და გოეთეს, ტოლსტოისა და დოსტოევსკის, როლანსა და დრაიზერს — წარსულისა და აწყოს ყველა დიდ ხელოვანს, რომლებიც ადამიანთა ბევრი თაობის სულიერი მოძღვარნი, მათ ფიქრთა მპყრობელნი გახდნენ.

ლიტერატურა არ შეიძლება იყოს უმიზნო, არ შეიძლება, რომ არაფრით არ იყოს დაინტერესებული. მხატვრული შემოქმედება ამართლებს თავის დანიშნულებას, როგორც კეთილშობილური საზოგადოებრივი საქმიანობა მხოლოდ მაშინ, როცა გამოხატავს მოწინავე ჰუმანისტურ იდეალებს, როცა იგი ემსახურება ადამიანს, დაინტერესებულია მისი კეთილდღეობით. მისი ბედნიერებით. ეხმარება მას იბრძოლოს ნათელი მომავლისათვის. მწერალთა მაღალ პასუხისმგებლობაზე, მათს როლზე მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში ილაპარაკა ნ. ს. ხრუშჩოვმა ევროპის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელი საბჭოს სესიის მონაწილეთა ჯგუფთან ამასწინანდელი შეხვედრის დროს.

ლიტერატურის ცხოველმყოფელი, იდეურ-საზოგადოებრივი დანიშნულება ყველაზე ხელშემწყობ შესაძლებლობებს იღებს თავისი მკაფიო გამოვლინებისათვის სოციალისტური წყობილების, დედამიწაზე ყველაზე ჰუმანური წყობილების პირობებში. საბჭოთა ლიტერატურის დიდი ბედნიერებაა ის, რომ იგი განუყოფელია სოციალისტური სინამდვილისაგან, რომ ახალი სამყარო მშენებელში იპოვა მან თავისი გმირი და მასთან ერთად აშენებს ამ ახალ სამყაროს — კომუნიზმის სამყაროს.

შრომის თემა ჩვენს ლიტერატურაში გორკიმ დაამკვიდრა. გორკის ტრადიცია შემდგომ განვითარდა საბჭოთა ლიტერატორების რამდენიმე თაობის შემოქმედებაში, იგი ახლაც ცოცხლობს ჩვენი დროის ლიტერატურაში. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დრო ხელოვნებს კიდევ უფრო წარმტაც პერსპექტივებს უსახავს, რათა წარმოსახონ შრომის ადამიანი, რომელიც ახლოებს მომავალს და თვითონ არის მომავლის ადამიანის პირველსახე.

მხოლოდ განცვიფრებას იწვევენ ის ლიტერატორები, რომლებსაც არაფრათ არ იტაცებს უბრალოდ ადამიანი, ადამიანურ ბედნიერებაში ეძებენ ეს მშვენიერი, ჭეშმარიტად ოქროს ძარღვი; მათთვის უფრო მიმზიდველია არაფრისმაქნისი ლიტერატურული გასართობნი, რაც მხოლოდ ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების ფორმალურ მოდერნისტულ ძიებათა იაფფასიანი მიმბაძველობაა.

ჯერ კიდევ რამდენი მკაფიო, ნიჭიერი, მნიშვნელოვანი წიგნია საჭირო, რომ გავადიდოთ და ქება შევასხათ ჩვენი დროის გმირს, ღირსეულად აღვბეჭდოთ ჩვენი დრო, რათა აღვზარდოთ კომუნისტური შემოქმედების სულ ახალი და ახალი გმირები!

რა სიამაყითა და აღტაცებით ლაპარაკობდა გორკი საბჭოთა მშრომელების თავისუფალი შრომის ძლიერებაზე. დაე ასეთივე სიამაყითა და აღტაცებით, ასეთივე რევოლუციური ოპტიმიზმით ახლონ შრომის ეს მშვენიერი ძალა საბჭოთა მწერლებს ახალმა ნიჭიერმა წიგნებმა, ყველა ხელოვნების ნაწარმოებებმა, რომლებიც ეძღვნება ჩვენი დროის შესანიშნავ გმირებს — შრომის ადამიანებს, კომუნიზმის მშენებლებს!

შევქმნათ საკვების ორი წლის მარაგი!

დამაფიქრებელი ჩამორჩენა

ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ პირუტყვის საკვების ორი წლის მარაგი! ამ დევიზით შრომობენ ახლა ბევრგან საკვებმომპოვებლები. რესპუბლიკაში ნაცვლად 191.606 ჰექტარისა გათიბულია 194.985 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახები. გეგმა შესრულებულია 101,8 პროცენტით. მარშან ამავე პერიოდისათვის კი ეს სამუშაო 65 პროცენტით იყო შესრულებული.

ᲩᲚᲔᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲑᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ბალახის თიბვისა და თივის დამზადების საქმეში წინ მიდიან **სიღნაღის, ყვარლის, დუშეთის, საჩხერის, გარდაბნის, ბურჯანის** საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

რესპუბლიკაში ბალახის თიბვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. მაგრამ ბევრი საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩებიან. ეს პირველ რიგში ითქმის **ახალქალაქის, ახალციხის, ხაშურის, ზესტაფონის, ამბროლაურის, ზუგდიდისა** და სხვა საწარმოო სამმართველოებზე.

ცნობილია, რომ ახალციხისა და ახალქალაქის საწარმოო სამმართველოებში წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ეს კარგად იცვან ამ რაიონების ხელმძღვანელებმაც, მაგრამ, როგორც ფაქტები მეტყველებენ, ისინი სუსტად იბრძვიან პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისათვის. თხუთმეტი აგვისტოსათვის **ახალქალაქის** საწარმოო სამმართველოში ნაცვლად 37.037 ჰექტარისა გათიბული იყო 16.791 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახები. მსგავსი მდგომარეობაა ახალციხის საწარმოო სამმართველოშიც. უფრო მეტიც. ამ სამმართველოების კოლმეურნეობებში ნაკლებად ფიქრობენ გათიბული ბალახის დროულად დაზვინვასა და ფერმებთან მიტანაზე. **ახალციხის** საწარმოო სამმართველოში გათიბული იყო 7.405 ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახები, ხოლო დამზადებულია 5.422 ტონა თივა. აქედან ცხადია, რომ გათიბული ბალახის საკმაო ნაწილი კვლავ მინდვრად არის და მზვინავებს ელოდება. ამის შესახებ რედაქცია ტელეფონით ესაუბრა **ახალციხის** საწარმოო სამმართველოს მთავარ აგრონომს **შ. წიკვაძეს**, რომელმაც თქვა:

— მართალია, ჩვენ ჩამოვრჩებით ბალახის თიბვასა და დაზვინვაში, მაგრამ ეს ძირითადად ავდრებით და საპირო ტექნიკის უქონლობით აიხსნება. საკმაოდ არა გვაქვს მთაგორიან ადგილებში სამუშაო სათიბები და სხვა იარაღ-მანქანები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ყველფერში და ყოველთვის ავდრის მომიზეზება ცუდად თავის მართლებაა და მეტი ოპოფერი. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში 1.408 ჰექტარზეა მომკილი პურეული. თუ თვითეულ ჰექტარზე სულ მცირე სამ-ოთხ ცენტნერ ნამჯას ვიანგარიშებთ, ახლა დაგროვილი უნდა ჰქონდეთ 6 ათას ცენტნერამდე ნამჯა. ფაქტიურად კი 249 ტონა ნამჯის დაგროვება მოახერხეს. იქნებ ამასაც ამბილი უშლის ხელს? არა, ასე არ არის. თუ პურეულის აღებაზე კომბაინები მუშაობენ, რა უშლის ხელს ნამჯის დაგროვებას? საქმე ის არის, რომ მეტ წილ კოლმეურნეობებში შრომა მოუწესრიგებელია, ნაკლებ ინტერესს იჩენენ საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი.

საკვების დაგროვებაში არსებულ ჩამორჩენაზე რედაქცია ტელეფონით ესაუბრა აგრეთვე **ამბროლაურის** საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს **ამბ. ნ. შარაბიძეს.** აი რა თქვა მან:

— ჩვენი რაიონი მაღალმთიანია. ბალახის თიბვა და პურეულის მკა გვიან იწყება. ჩვენი აზრით, საკვების დაგროვებაში არ ჩამოვრჩებით.

მართალია, ამბროლაურის რაიონი მაღალმთიანია, მაგრამ ისიც უნდა შეეახსენოთ იქაურ ხელმძღვანელებს, რომ თუ იქ ზაფხული გვიან იწყება, სამაგიეროდ ზამთარიც ადრე დადგება ხოლმე და სჯერია შემშედრეობულ ვადებში შესრულდეს თიბვა, თივისა და ნამჯის დაზვინვა. უხვი საკვები თუ არ გვექნება, ისე პირუტყვის გამზამთრების საქმე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამბროლაურელებს თივის დამზადების გეგმა მხოლოდ 31,7 პროცენტით აქვთ შესრულებული, ხოლო ნამჯისა — 0,4 პროცენტით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სილოსის ჩადება. ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს **დუშეთის, ხაშურის, ზესტაფონის მაიაკოვსკის** და სხვა საწარმოო სამმართველოებში. ცალკეული საწარმოო სამმართველოების ჩამორჩენის მიზეზით რესპუბლიკაში სილოსის ჩადების საქმე არადამაკმაყოფილებელია. 15 აგვისტოსათვის ნაცვლად 1.307.330 ტონისა დამზადებულია 99.504 ტონა სილოსი, ანუ შარშანდელთან შედარებით 48.290 ტონით ნაკლები.

დაწინაურდნენ თეთრწყაროელები

თეთრი წყარო. (ტელეფონით). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში უმეში საკვების დამზადებასთან ერთად წარჩატებით მიმდინარეობს სილოსის ჩადება. თეთრწყაროელებმა ჯერ კიდევ ადრე ზაფხულზე დაიწყეს ბუნებრივი ბალახის დასილოსება. ახლა ჩქარი ტემპით სამნამდის მწვანე მასას ასილოსებენ. სულ ჩადებულია 20 ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა.

სილოსის ჩადების საქმეში წინ მიდიან კოდის, ბორბალოს, ჯორჯიაშვილის, ასურეთის და სხვა კოლმეურნეობები.

სამეცნიერო სიმპოზიუმი ციმბირში

ᲜᲝᲕᲝᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲘ, 19 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს ნოვოსიბირსკში გაიხსნა სიმპოზიუმი მათემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე—განტოლება კერძო წარმოებულით. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებს თვალსაჩინო ამერიკელ მათემატიკოსთა დიდი ჯგუფი რიჰარდ კურანტის მეთაურობით. საბჭოთა კავშირიდან სიმპოზიუმში მონაწილეობენ აკადემიკოსები მიხეილ ლავრენტიევი, სერგი სობოლევი და ციმბირის სამეცნიერო ცენტრის სხვა მეცნიერები, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების თვალსაჩინო მეცნიერები.

სიმპოზიუმი მიმდინარეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების აკადემიურ ქალაქში, ოთხი წლის წინათ შექმნილი ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის შენობაში. ეს ქალაქი მდებარეობს ნოვოსიბირსკის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის — ხელოვნური ზღვის თვალწარმტაც ტყიან ნაპირზე. სიმპოზიუმი დაახლოებით კვირანახევარს გაგრძელდება.

მიღების ნახევრადუნყვეტი ჩამოსხმის საამქრო

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ, 19 აგვისტო. (საკდესი). შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს სინარის ქარხანაში ამუშავების წინა პერიოდი დაიწყო თუჯის მილების ნახევრადწყვეტი ჩამოსხმის საამქროში. აქ მიიღეს პროდუქციის პირველი პარტია.

ტექნიკური აღჭურვითა და მასშტაბით ამ საამქროს ბადალი არ არის ჩვენს ქვეყანაში.

ჩამოსხმის პროგრესული მეთოდი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შრომის პირობებს. საამქროს შენობაში არ არის მტვერი და გაზი.

დავალება ვადამდე შესრულდა

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 19 აგვისტო. (საკდესის კორ.). მინსკისა და მინსკის ოლქის მრეწველობის მუშაკებმა შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. ოთხ წელიწადსა და შვიდ თვეში მათ მიაღწიეს სამრეწველო წარმოების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილი იყო 1965 წლისათვის.

შვიდწლედის დასაწყისიდან ქალაქისა და ოლქის მრეწველობამ პროდუქციას გამოუშვება 74 პროცენტით გაზარდა. შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გადიდდა. ამ ხნის განმავლობაში შვიდწლიანი გეგმის დავალების გადამეტებით გამოუშვეს ერთნახევარი მილიარდ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია.

სამშობლოს სალუტი

18 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ მთელმა ქვეყანამ ფართოდ აღნიშნა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი 20 საარტილერიო ზალპით მიესალმა მამაც საბჭოთა მფრინავებს. შუშხენების ნაირფერმა ჩირაღდნებმა გაანათა ღამით მოსკოვის ცა.

დიდება მამაც საბჭოთა მფრინავებს!

საზეიმო სალუტი მიცემულ იქნა აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში. (საკდესი).

საჰაერო ფლოტის ზეიმზე

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 19 აგვისტო. (საკდესის კორ.). გუშინ დედაქალაქის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე. ათასობით მოსკოველი შეეკრება იზმაილოვოს კულტურისა და დასვენების პარკში. საჰაერო ფლოტის აღსანიშნავი ზეიმი გაიხსნა მასობრივი სპორტული ასპარეზობით. თავიანთი ოსტატობა უჩვენეს მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, მოსკოვის ოლქის, თურქმენეთისა და ყაზახეთის აეროპორტებმა, მოტოციკლისტებმა, სპორტსმენებმა. გაიმართა წყალქვეშელი სპორტსმენების, სკუტერისტების, წყლის მოთხილამურეთა და მყვინთავთა საჩვენებელი გამოსვლა, ხალხით იყო სავსე ფრუნზეს სახელობის საბჭოთა ამრის ცენტრალური სახლის ბაღი. აქ მოეწყო ზეპირი ჟურნალის „ავიაცია და კოსმონავტიკა“ გამოშვება. მოსკოველებსა და დედაქალაქის გარნიზონის ახალგაზრდა მეომრებს ესაუბრნენ სამამულო ავიაციის სახელოვან ისტორიაზე, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მფრინავების გმირობაზე.

„ერთ ცას ვიცავთ“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა კაპიტანმა ბოლესლავ გაჩკოვსკიმ. მან ილაპარაკა პოლონელი და საბჭოთა მფრინავების მეგობრობაზე, რომლებიც მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან.

მწერლებმა ალექსანდრე სოკოლოვმა, გენადი სემენიხინმა და ივანე არსენიევმა წაიკითხეს სამხედრო მფრინავების უკანდავი მამაცობისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ავიატორების შრომითი წარმატებებისადმი მიძღვნილი თავიანთი ნაწარმოებები.

დედაქალაქის მრავალ ბაღსა და პარკში გაიმართა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი სახალხო სეირნობა, შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავებთან და სახელგანთქმულ ავიაკონსტრუქტორებთან.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲧᲣᲠᲐᲗᲘ. (საკ. კორ.). მეშახტეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრო ლენინის სახელობის შახტმა (უფროსი აკ. ბასილაძე). აკადემიკოს მექანიზატორებმა წარმატებით განსორციელეს ქვანახშირის მოსხვეტი კონვეიერების დისტანციურ-ავტომატური მართვა. ამ ტექნიკურმა სიახლემ ხელი შეუწყო მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას, იმატა „შავი ოქროს“ ტონებმა. მიმდინარე წლის განვლილი შვიდი თვის მანძილზე ლენინის სახელობის შახტში მოპოვებულია 22 ეშელონი ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი, ეს მეშახტეთა დიდი გამარჯვებაა.

მეშახტის დღეს სასახელო შრომითი წარმატებებით ხვდება ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი. 10 აგვისტოს დღის ბოლოს შახტის სატვირთავიდან გაიგზავნა ქვანახშირით დატვირთული მორიგი ეშელონი. ეს არის ზეგეგმითი შავი ოქროს ოცდამეცამეტე ეშელონი. კარგი მიღწევები აქვს დასავლეთის შახტსაც. აქ წარმატებით დაინერგა ქვანახშირის მონტრეგის რენტაბელური და პროგრესული მეთოდი — ჰიდროავლიკური ვსება.

ᲖᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). ჩითახევჩისის კოლექტივმა სამეოთხეო წლის მეორე ნახევრის პირველ თვეს — ივლისში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 656 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ამასთან შეამცირა კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავების თვითღირებულება და საკუთარ მოხმარებაზე გასწია მნიშვნელოვანი ეკონომია.

კოლექტივის საერთო წარმატებაში დიდია მემანქანე-ზეინკლის პ. ლაბაძის, მონტიორ გ. დავალაშვილის,

კოოპერატივი... სკოლაში

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე საჩხერის რაიაღმასკომმა ჯერ კიდევ მაისში იმსჯელა. 26 ივლისს კი საჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა და რაიაღმასკომმა ამ საკითხზე ვრცელი დადგენილება მიიღეს, სოლო ერთი თვით ადრე — ივნისის ბოლოს სწავლა-აღზრდისა და სკოლების სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი რაიაღმასკომის სესიის დღის წესრიგში იდგა.

ამ ღონისძიებების ამაოდ არ ჩაუვლია — ბევრი რამ კარგი გაკეთდა. „საქსოფლტექნიკის“ საჩხერის განყოფილებამ საჩხერის პირველ საშუალო სკოლას საწარმოო სწავლებისათვის მოუწყო კარგი სახელოსნო, გამოუყო იარაღები და მოწყობილობანი. რაიონის ცენტრში შეიქმნა სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნო. აქ არის საავეჯო და სამკერვალო საამქროები, სახარატო დაზგები, მოწყობილობა-დანადგარები. ორგანის საშუალო სკოლას მარგანეცის ტრესტმა გადასცა ორი შენობა თერთმეტი ოთახით და აქ სწავლა ერთ ცვლად იქნება.

მარგანტრესტი სოფელ პეტრავსაში აშენებს საშუალო სკოლას. შომახეთის კოლმეურნეობა ამთავრებს დაწყებითი სკოლისათვის ორი ოთახის მიშენებას. სოფელ ხრეითში შენდება საშუალო სკოლის საუცხოო შენობა, რომელზეც წელს 40.000 მანეთი დახარჯება. მშენებლობას კარგად ეხმარება კოლმეურნეობა (თავმჯდომარე არ. ჯაფარიძე). ადგილობრივი სახსრებით საჩხერეში შენდება საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც პირველი ოქტომბრისათვის უნდა დამთავრდეს.

მაგრამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ყველაფერი რიგზე როდია. სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი 83.000 მანეთიდან 15 აგვისტოსათვის ათვისებული იყო მხოლოდ 52.000 მანეთი. სკოლების რემონტისა და მიშენებისათვის დიდი ეაიბგელახით მიიღეს 50 კუბმეტრი ხე-ტყე და 50 ტონა ცემენტი. ისიც უნდა ითქვას, რომ ხე-ტყის მასალა უხარისხო აღმოჩნდა.

ხუთი წელია ჭიათურდება სოფელ გორისის რვაწლიანი სკოლის მშენებლობა, და მოსწავლეები პირველ სექტემბერს კვლავ ძველ შენობაში ხვდებიან. მეტად ჭიანურდება შარშან დაწყებული სასკოლო ოთახების მიშენება სოფლებში ჩიხაში, ზედუბანში, მანდაეთში, ციხისჭალში.

გორისის სოფლის კოოპერატივის გამგეობას სოფელ ნიგეზარაში წლობით უგირავს სკოლის ორი ოთახი. ამ ოთახების განთავისუფლებაზე არავრი დადგენილებაა გამოტანილი, მაგრამ ვაჭრობის მუშაკები ჯიუტად არ ათავისუფლებენ მათ. განთავისუფლება კი მით უფრო საჭიროა, რომ აქ ახალი წლიდან რვაწლიანი სკოლა იქნება. სავაჭრო ორგანიზაციებს დიდხანს ეჭირათ ქორეთის მასწავლებელთა სახლიც. იგი დაზიანდა და ახლა მეკეთებაზე არავინ ფიქრობს. რაიონის ცენტრში პირველი სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო ასადგილიანი ბაგა-ბაღის ტიპური შენობა. მშენებლებმა ეს ვადა პირველ ოქტომბრამდე გადასწიეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს პირობაც დაიცვან.

სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ხელემძღვანელოებით, ავეჯით, სათბობით. 15 აგვისტოსათვის მიღებული ჰქონდათ 20 დასახელების სახელმძღვანელო და ისიც არა ყველა მოსწავლისათვის. სკოლებს აკლიათ 400 სასკოლო მერხი, 150 დაფა, 80 ცალი ელექტრატორიული მაგიდა და სხვ. სკოლებისათვის უნდა მიზიდონ 6.000 კუბმეტრი შეშა და 160 ტონა ქვანახშირი. საბუნებაროდ, ეს დავალება მხოლოდ 20 პროცენტით არის შესრულებული.

სკოლებსა და სწავლა-აღზრდის საქმეზე ნაკლებად ფიქრობენ სოფლების მოხვისა და ქორეთის ხელმძღვანელები. თითქოს დავიწყებიათ, რომ სკოლაში ისწავლეს ანბანი, რომ სკოლამ აღსარდა ისინი.

გვახსოვდეს, რომ სკოლისათვის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის ზრუნვა საშვილიშვილო, სახალხო საქმეა, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

ჯ. ბიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ემზადებიან ხულოელები

მაღალმთიანი ხულოს რაიონის სოფლებში ბევრგან დაინახავთ ხარაჩოებს, სადაც გაცხოველებული მუშაობაა.

აქ 9 სასკოლო, 6 სასკოლო ინტერნატის, 8 საწავლო სახელოსნოს და 2 მასწავლებელ[illegible] [illegible] შენდება. ბარათაულის სასოფლო სა[illegible] სასკოლო ინტერნატი 20 ბავშვისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს რაიონის სკოლებში 12.591 მოსწავლე იქნება. ამის პარალელურად მზადდება ნიდაგი რაიონის ზოგიერთ სკოლასთან სალამოს ცვლის კლასებია გასახსნელად.

გარკვეული მუშაობაა გაწეული ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლებისა საშუალო სკოლების სასწავლო-საწარმოო ბაზებით უზრუნველყოფისა და კეთილმოწყობისათვის. ხულოსა და შუახევის საშუალო სკოლების მე-9 კლასებში მეცადინეობა „წარმომართება ბროფილების მიხედვით.

1963-64 სასწავლო წელს რაიონში იმუშავებს 20 საწარმოო-სწავლებიანი საშუალო სკოლა 1.360-მდე მოსწავლით.

ლ. გაგაიძე.

სრულყოფილი აგრეგატები ნავთობის მრეწველობას!

ქუთაისში ნავთობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს თანამედროვე მრეწველობის საფუძვლის — ლითონისა და სათბობის წარმოების შემდგომ სწრაფ განვითარებას.

პარტიის XXI ყრილობამ სათბობის მრეწველობის დარგში ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების უპირატესი განვითარების მტკიცე კურსი აიღო. ამ ხაზის თანმიმდევრულ განხორციელებას ითვალისწინებს პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული სკკპ ახალი პროგრამაც.

პარტიის მიერ დასახული ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული სათბობის მრეწველობის, პირველ რიგში კი ნავთობისა და გაზის წარმოების ტექნიკურად ხელახლა აღჭურვაზე.

სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის ღონისძიება, რომ ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, რომელიც მანამდე ძირითადად ქვანახშირის მრეწველობისათვის სამაბრეშოს მოწყობილობას უშვებდა. შვიდწლედის დამდეგიდანვე თავისი საწარმოო პროფილი შეცვალა და დასპეციალება იწყო ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის საჭირო ელექტრომოწყობილობის გამოშვებაზე.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ პასუხსაგებ საქმეს და მოკლე ხანში დიდი მუშაობა გასწია ახალი, უნიკალური ელექტრომანქანების ათვისებისა და წარმოების მომზადებისათვის, ხოლო შემდეგ ამ მანქანების სერიული გამოშვებისათვის.

ახლა ჩვენს პროდუქციას — ჩასაკიდ ელექტრობურღებს, ელექტროძრავებს, ელექტროცენტრიდანულ ტუმბოებს ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის ნავთობის სარეწებზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთაც იგზავნება.

ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი თვიდან თვემდე, წლითიწლობით ზრდის პროდუქციის გამოშვებას. ამასთან ახალი სახის პროდუქციის წარმოებას ყოველთვის დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დაცვით ასრულებს.

შვიდწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ჩვენთან სამრეწველო პროდუქციის გამოშვება თითქმის ორნახევარჯერ გადიდდა, ხოლო ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 1,6-ჯერ გაიზარდა. უკვე გასული, 1962 წლისათვის ქარხნის მიერ გამოშვებულ საერთო პროდუქციაში ახალი სახის პროდუქციის ხვედრითი წონა ნახევარზე მეტს შეადგენდა.

ჩვენი ქარხნის კოლექტივის დიდი გამარჯვება იყო, რომ გასულ წელს ათვისებულ იქნა კიდევ ერთი მაღალი წარმადობის უნიკალური აგრეგატი — 300 კილოვატის სიმძლავრის „დსკ-173“ ტიპის მსხვილი სინქრონული, საკომპრესორო ელექტროძრავი.

დღეისათვის ქარხანა სერიულად უშვებს 5 ტიპის ჩასაკიდ ელექტროძრავებსა და 4 ტიპის ჩასაკიდ ელექტროცენტრიდანულ ტუმბოებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყველა ნავთობის რაიონში იგზავნება.

საგულისხმოა, რომ ჩასაკიდი ელექტროძრავების წარმოებით ჩვენ უკვე გადავჭარბეთ წამყვანი საწარმოს, ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის წარმოების დონეს, ხოლო „დსკ-173“ ტიპის სინქრონული, საკომპრესორო ელექტროძრავების წარმოება იმდენად გაფართოვდა, რომ ჩვენი ქარხანა უკვე მომავალ წელს თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილებას ამ მანქანაზე.

1965 წლისათვის ელექტრობურღების წარმოება ჩვენთან დადად გაიზრდება. ქარხნის კოლექტივმა მოამზადა საკუთარი საწარმოო სიმძლავრეები იმ ანგარიშით, რომ უკვე მიმდინარე წელს გამოუშვას შვიდწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული ელექტრობურღების რაოდენობის ნახევარი.

მაგრამ როგორც ჩვენი ქარხნის, ისე სხვა საწარმოს მიერ დამზადებულ ელექტრობურღს, ამ შესანიშნავ მანქანას, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს ტურბინულ და როტორიულ ბურღვასთან შედარებით, მაინც აღმოჩნდა დეფექტები.

ელექტრობურღის კონსტრუქცია, რომელიც დამუშავებული იყო საბურღავი ტექნიკის საკავშირო ინსტიტუტისა და ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის მიერ, სრულყოფილი არ აღმოჩნდა. არაერთგზის გამოდგა ელექტრობურღის იზოლაცია, ხანმოკლეა მისი მუშაობის საგარანტიო ვადა, ამასთან, მისი მართვა და ავტომატიკა საკმაოდ არ არის დამუშავებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ახალ საბურღავ აგრეგატს — ელექტრობურღს და აღნიშნა ამ მოწყობილობის უდიდესი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის. ამავე დროს ამხანაგმა ხრუშჩოვმა

სრულყოფილი აგრეგატები ნავთობის მრეწველობას!

მიმდინარე წლის თებერვალში დაამზადა პირველი საცდელი ელექტრობურღი ნესტსაწინააღმდეგო იზოლაციით. კიდევ მზადდება ამავე ტიპის ორი ელექტრობურღი. ტექნიკურად ეს კონსტრუქციული ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ ძრავის სტატორის ხვეულში ჩასხმულია ეპოქსიდური კომპაუნდი, რომელიც შეუძლებელს ხდის მასში სინესტის გაჩარჩოს. იზოლაციის საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ, ჩვენი აზრით, საგსებით მტკიცედ და საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს აგრეგატის ამ მნიშვნელოვანი დეფექტის ლიკვიდაცია.

სულ მოკლე ხანში ჩვენ მიერ დამზადებული საცდელი ელექტრობურღები სამრეწველო გამოცდას გაივლის მომმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სარეწებზე.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ელექტრობურღის ძრავისა და შპინდელის ერთობლივი ნორმალური მომუშავება, ამიერიდან მომხმარებლებისათვის მათი გაგზავნა მხოლოდ აწყობილ დგომარეობაში, ადგილზე ერთად გამოცდის შემდეგ მოხდება, ასევე მომხმარებელს დამატებით გაეგზავნება ერთი სათადარიგო შპინდელი და კაბელის შესაყვანი.

ეს არ არის სახალხო სასამართლოს სხდომა. ბრალდებულები — მოსწავლეთა მშობლები წარსდგნენ მშობელთა ღირსების სამსჯავროზე. მათს საქმეს განიხილავენ პედაგოგების, მშობლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშობელთა ღირსების სამსჯავროს პირველ სხდომას ვაზისუბნის ქუჩა № 10-ში მცხოვრებ ზარია და პლატონ მიმინოშვილების ოჯახური უსიამოვნების შესახებ მოახსენა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა თამარ გიორგობიანმა.

პედაგოგი გულისტკივილით ჰყვება, რომ ორი შვილის მშობლებს — ფ. და პ. მიმინოშვილებს ცხოვრება მოუწესრიგებელი აქვთ. მათ ოჯახში უპირველეს ყოვლისა თვალში გეცემათ უწესრიგობა. არა ჩანს დიასახლისის, დედის ხელი, მათი შვილი — ბაღრი 12ბ-ე საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეა. იგი ნიჭიერი ბავშვია... მაგრამ მეტისმეტად უსუფთაო და მოუვლელი დადის სკოლაში, დედა სრულიად არ ზრუნავს მასზე. ბაღრი წლების მანძილზე მოწმეა მშობლების გაუთავებელი აყალმაყალისა, რასაც მეტწილად დედა — ზარია იწვევს. ამჟამად ცოლ-ქმარი ცალცალკე ცხოვრობს. როგორც ირკვევა, ოჯახის დანგრევაში დიდი წვლილი შეუტანიათ ზარიას მშობლებს.

მშობლების მოუწესრიგებელი ცხოვრების შედეგად ბავშვი ჯიუტი იზრდება, არ უსმენს უფროსებს, აღმზრდელებს. გულჩათხრობილია.

სად მუშაობენ ეს გზააბნეული მშობლები?

მამა — პლატონ მიმინოშვილი ტრესტ „საკპუროკონდიტერის“ სარემონტო კანტორაში ზეინკლად მუშაობს, ხოლო ზარია — მეოთხე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში მკერავია. აღსანიშნავია, რომ ამ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არც კი დაინტერესებულან თავიანთი მუშების ოჯახური მდგომარეობით, თორემ შეიძლებოდა საქმე აქამდე არც მისულიყო. არც მეზობლებმა გამოიჩინეს გულსხმიერება. სხვისი ვირი — ღობეს ჩხირიო, თქვეს და დუმილი ამჯობინეს.

დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. პლატონ ცოლს უჩივის ოჯახისადმი, შვილებისადმი გულგრილობას, ზარია ქმარს უგულობას, უყურადღებობას სწაბლებს და ჰგონია, რომ თვითონ — ორი შვილის დედას — უფლება აქვს იხეტიალოს იქ, სადაც უნდა, ბავშვები უმეთვალყურეოდ ჰყავდეს ამხვის ანაბარა მიტოვებულნი, რომ დედა თითქოს მოვალე არ არის იზრუნოს ოჯახზე, შვილებზე, მათ სისუფთავეზე, კვებაზე... ზარიამ შვილებს მოაკლო სულიერი საზრდო — დედის ალერსი.

სამსჯავრო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს მიმინოშვილების მეზობელმა თ. ბადრიძემ, მეოთხე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ყურაშვილმა, რწმუნებულთა სამბჭოს წევრმა ა. ჯორბენაძემ, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ რ. ჭოლოშვილმა. მათ გაკიცხეს უღირსი მშობლები, რომლებიც შვილების აღზრდას სასწავლებლისა ან ქმედ თვლიან... ანგრევენ ოჯახს, გზაკვალს ურევენ ბავშვებს. ეს იყო მკაცრი საზოგადოებრივი გაკიცხვა დამნაშავე მშობლებისა, რასაც უთუოდ კარგი შედეგი უნდა მოჰყვეს.

ეი კიდევ მეორე ოჯახი. **არტავაზ ოვაკიმიანსა** და **სირან ბეჟრდოიანს** ოთხი შვილი ჰყავთ.

როგორ ზრდიან ისინი ამ ბავშვებს? ამის შესახებ სამსჯავროს სხდომას მოახსენებს: თბილისის 59-ე საშუალო სკოლის დირექტორმა მ. შიშმანიანმა, თბილისის სამგზავრო ავტოტრანსპორტის 1-ლი კანტორის ადგილკომის თავმჯდომარემ გ. კეულიშვილმა, რძის კომბინატის პარტიბიუროს მდივანმა ე. ჯაბადარმა, ორჯონიკიძის რაიონის საბურთალოს ბავშვთა ოთახის ინსპექტორებმა ნ. კოსტიუკოვამ და ე. სამარდანიშვილმა, 63-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ი. კვაჭაძემ. გამოირკვა, რომ ოვაკიმიანების ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ კარგია. ცოლ-ქმარი მუშაობს: არტავაზი რძის კომბინატში, სირანა კი ავტობუსის კონდუქტორია.

მაგრამ იმის გამო, რომ შვილები უპატრონოდ, სრულიად უმეთვალყურეოდ ჰყავთ მიტოვებული, ისინი მშიერი, გაბინძურებული დადიან, რაც უნდათ იმას აკეთებენ, ქუჩაში უწმაწურად იგინებიან, ფულზე თამაშობენ, ვაჭრობენ, ცივ იარაღს ატარებენ, პატარაობიდან ღამეს შინ არ ათევენ და ამისათვის მშობლებს არასოდეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, ბავშვები სრულიად არ გრძნობენ მშობლების ზრუნვას.

ამ ბავშვებმა, თითქმის ყველამ, დაბალი კლასებიდანვე მიატოვა სწავლა. ერთი შვილი უყურადღებობის შედეგად ავარიაში მოჰყვა და სამუდამოდ დაინვალიდდა. 14 წლის გოგონა — მარგარიტა სრულიად წავიდა ოჯახიდან და გზას ასცდა, მეოთხეკლასელი ლევანი ჯერჯერობით დადის სკოლაში, მაგრამ თუ დროზე არ მიეშველნენ, ისიც დაღუპება...

და როგორ გგონიათ, ძალიან სწუხან მშობლები ამას? არა, ისინი არ გრძნობენ, რომ დანაშაული მიუძღვით მთელი ოჯახის გადაგვარებაში. აქაც, მშობლითა ღირსების სამსჯავროს წინაშე, არტავაზს გამომწვევად ეჭირა თავი და „ვეიცაცას“ სდებდა ბრალს თავისი შვილების ცუდად აღზრდაში.

როგორც სხდომაზე გამოირკვა, სკოლას, პედაგოგებს, მილიციის საბავშვო ოთახის თანამშრომლებს უცდიათ ეს ბავშვები სწორ გზაზე დაეყენებინათ, მაგრამ მშობლებთან ვერაფერი გაუწყვიათ და ბოლოდე ვერ მიუეგანიათ საქმე.

სამსჯავრო სხდომამ განიხილა კიდევ ერთი ახალგაზრდის ვ. ტ-ძის ოჯახის საკითხი. მას ოთხი შვილი ჰყავს. აქ კი მამა ზის დამნაშავის სკამზე. საზოგადოებამ მადლობას უხდის დედას, რომელმაც ყოველგვარი გაკვირვება აიტანა, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მაინც არ მიატოვა შვილები და არაფერი დაკლო მათ აღზრდას. მამის დანაშაული კი დიდია ოჯახის წინაშე. ყოველდღიური ლოთობა და აყალმაყალი, ოჯახური საგნების მსხვრევა, ბავშვების ცემა... იგი თვეობით კაბიკსაც არ აწვდის შვილებს, ამიტომ ბავშვები ხშირად მშიერ-წყურვალენ და ჩაუცმელი არიან, ეს მაშინ, როცა ვ. ტ-ძის საშუალო თვიური გამომუშავება 150 მანეთს აღწევს.

სიტყვა ეძლევა დამნაშავე მამას. მას უსიტყვოდ მიიღო კრიტიკა და მოინანია წარსული შეცდომები. შემდეგ პირობა დადო, რომ ამიერიდან არ გაიმეორებს დანაშაულს, მხარში ამოუდგება მეუღლეს და ყველაფერს გააკეთებს შვილების კარგად აღზრდისათვის. ვახრულებთ ვ. ტ-ს თხოვნას და ამჯერად გაზეთში არ გამოვაჭვს მისი სახელი და გვარი...

ვნახოთ რა შედეგი მოჰყვება ამას — იქნება თუ არა ვ. ტ. თავისი სიტყვის პატრონი.

დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშობელთა ღირსების სამსჯავროს ღონისძიებისა, რომელმაც საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუტანა ფარია და პლატონ მიმინოშვილებს, აგრეთვე ვ. ტ.-ძეს.

არტავაზ ოვაკიმიანი და ს. ბურდოიანი არა მარტო გაკიცხა სამსჯავროს სხდომამ, არამედ სახალხო სასამართლოს წინაშე დააყენა საკითხი მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სამსჯავრომ სთხოვა იმ საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს, სადაც აღნიშნული მშობლები მუშაობენ, თვალყური ადევნონ ამ მშობელთა ოჯახურ მდგომარეობას, დაეხმარონ, შეუქმნან სათანადო პირობები შვილების წესიერად აღზრდისათვის.

მშობელთა ღირსების სამსჯავრო სავსებით ახალი წამოწყებაა ჩვენს რესპუბლიკაში. იგი პირველად 1963 წლის 21 მაისს შეიქმნა თბილისის ორჯონიკიძის რაიონში მშობელთა აქტივის კრებაზე. მასში გაერთიანებულია 17 კაცი.

სასიბარულოა, რომ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშობელთა ღირსების სამსჯავრო, რომელსაც ა. ფარულავა ხელმძღვანელობს, სერიოზულად მოეკიდა და დაკისრებულ მოვალეობას. უკვე აქვთ დებულება, სამუშაო გეგმა, შეიხწავლეს 16 ოჯახი, და პირველმა სხდომამაც საკმაოდ და მოწოდების სიმაღლეზე ჩაიარა.

მშობელთა ღირსების სამსჯავრო მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს, იგი მხარდაჭერის ღირსია.

ე. მამალაძე.

მშობელთა ღირსების სამსჯავრო

აღზრდის თემაზე

დედოფლის კალოსთან

მაღალი მთების სამეფოდან მოედინება და გარე კახეთის დაბაებზე ბუბუტუტით მიუყვება მისივე სახელის ველს ეს დიდებული მდინარე. იგი თითქოს მადლობას ეუბნება ადამიანებს, ვინც მთა წინკლდის ძირთან დღედაღამ აგუგუნებს მძლავრ მოტორებს. აქ მიმოქრიან თვითსაცლელი სატვირთო ავტომანქანები. საქმიანი ფუსფუსით მიმოდიან მზით გარეჯული ვაჟკაცები. ისინი გაბედულად შერკინებიან სალკლდოვან კავკასიონს, რათა ხალხის სამსახურში ჩააყენონ გოლიათი მთებიც.

შვენიერი სანახავია დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ეს პატარა მონაკვეთი. გაყურებ ამ შვენიერ მიდამოს და გახსენდება უძველესი ლეგენდა, საღს საუკუნეთა მანძილზე სათუთად რომ შემოუნახავს.

— ემანდ, ახლა რომ ღვინის შესანახ სარდაფს ამენებენ, — გვიხრა მოხუცმა ყვარელელმა კოლმეურნემ, თამარ მეფეს გლეხკაცობა შეუყრია და უთქვამს, ხომ ხედავთ ბალახით მობიბინე ფერდობს, იქ მოხვნა შეიძლება და ხორბლის დათესაო. კაკ-გუთანი გაუწყვიათ, ხენაც შესდგომიან მთის ახლო მოსახლეები. ბოლოს თვითონ თამარი ჩასდგომია კვალსა, და საქართველოს დედას გუთნისდედობაც უკისრია. სამი კვალი საქცევის ბოლომდე გაუტანია, მეოთხე კი დასასრულამდე ვეღარ გაუღწევია, ყამირისათვის ვეღარ გაუძლია ხის სახნისს და გამტყდარა. თამარს თეორი მანდილის ბოლოთი შეუმშრალებია ოფლი.

იმიერდან ამ ადგილს თამარ დედოფლის კალოს ეძახიან კახელები და უდიდესი სიყვარულით შეავლებენ ხოლმე თვალს ამ წარმტაც მიდამოს. სწორედ ეს ლამაზი ადგილი შუურჩეულიათ ღვინის შესანახი გვირაბის გასაკეთებლად.

...ალაზნის მარცხენა ნაპირზე მოასფალტებული გზა კუდიგორისაკენ მიემართება და ალვის ხეებისა და ბაღ-ვენახების ტყვრში იკარგება. ქარხნის დირექტორ თენგიზ ბუჯიაშვილთან ერთად მივყვებით ამ გზას და თვალწინ გვეშლება ზღაპრული სილამაზე. აქ ახლა ჩვენი დროის ახალი გმირები იბრძვიან ქართული ღვინის უზარმაზარი სარდაფის ასაგებად. თავაზიანად შეგვხვდა ქარხნის მთავარი მეღვინე ნოდარ ბახტაძე, ჩვენი მისვლის მიზეზი შეიტყო და სიხარულით იკისრა მგზურობა.

— ეს ყურძნის მისაღები განყოფილებაა, — გვიყვება იგი, რთვლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ლოდინი კარგს არაფერს მოგვიტანს, თუ ახლავე არ მოვემზადეთ თადარიგიანად. წელს 1.800 ტონა ყურძენი უნდა გადავამუშაოთ. საამისოდ მანქანებს ვარემონტებთ, თვრი ყურძნის მიმღებ-გადამმუშავებელ 2 მანქანას მიგუმატეთ მესამე, რომლის წარმადობა ხაათში 8 ტონას აღემატება.

ბულდოსმით გვაენობს ევროპული ტიპის თეთრი ღვინის დაყენების ტექნოლოგიურ პროცესებს, შავი ყურძნის გადასამუშავებელ ცენტრიდანულ კლერტსაცლელ მანქანებს, რომლებიც უკვე მოუმზადებიათ ახალი მოსავლის მისაღებად.

90 ათასი დეკალიტრი ტევადობისაა სამი სამაცივრო. მუშები სწრაფი ტემპით არემონტებენ დანადგარებს, აქაც მყინვავი სიცივის მოსამატებლად ამიაკის ახალი კომპრესორი დაუდგამთ. აგერ მეორე შენობაში, კასრების სამრეცხაოს რომ ეძახიან, ახალი მოწყობილობაა; ამიერიდან ქარხანას შეფერსება არ ექნება კასრების მომზადებაში.

საგულდაგულოდ მოვლილ განყოფილებაში, რომელიც 30 ათას დეკალიტრს იტევს, საკონიაკე სპირტის დაძველება ხდება. აქ მუშავდება მასალა უმაღლესი ხარისხის „ენისელის“, „გრემის“ და „ოს“-ის კონიაკების დასამზადებლად.

ვთვალიერებთ გვირაბის ლაბირინთებს. გზადაგზა ახსნა-განმარტებას გვაძლევენ გვირაბმშენებლობის უბნის ინჟინერი გივი დავლაძე, მეღვინე ამირან ხუციშვილი, ბრიგადირი ტრისტან კუპატაძე და თვითონ დირექტორი თენგიზ ბუჯიაშვილი. 360 მეტრი სიგრძის თვითეული გვირაბი თავისებური ქალაქია მიწის ქვეშ. აქ იქნება ოთხი ასეთი გვირაბი და 13 გადამკვეთი განყოფილება, რომლებიც დასაძველებლად დაიტევენ 2 მილიონ დეკალიტრ ღვინოს.

გასულ წელს ერთ განყოფილებაში უკვე შეუტანიათ 70 ათასი დეკალიტრი. ამ ვეებერთელა დარბაზებში ჰაერის გასუფთავება მოხდება სპეციალური დანადგარებით და წლის ყველა დროს შენარჩუნებული იქნება 12-14 გრადუსი ტემპერატურა. ამასთან გვირაბში ღვინის შეტანისა და გამოზიდვის ყველა პროცესი მექანიზებულია.

— ეს ალვის ხეები ჩემი დარგულია, — გვეუბნება ლაბორატორიის გამგე, ქარხნის არტერიის მამძრავებელი ანგელინა ქებაძე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოსულა აქ, გაბედულად ჩამდგარა ქარხნის მშენებელთა რიგებში და აქვე უპოვია ულის-ტოლი. — ეს დეკორაციული ბაღი ქარხანაში მომუშავე ქალებმა შევამენით უსასყიდლოდ.

ამ თვალწარმტაცი ტევრის სიმშვენიერეს მოუსიბლავს მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის მონაწილენი, რომლებმაც გულდასმით დაათვალიერეს ქართული ღვინის მრეწველობის ეს უნიკალური ძეგლი და აღტაცებაში მოვიდნენ.

— მსოფლიოში ეს პირველი მარანია, კარგად მოფიქრებული და შესანიშნავად გაკეთებული, — ამბობდნენ ისინი. მეეკონომეთა ბისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტს პიერ ლერუს გვირაბის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „ჩემს ახალგაზრდობაში კუნძულ კეიროსზე, მეფის ლაბირინთებში კინაღამ დავიკარგე. ნეტავი ღვინით რომ აივსება ყვარლის გვირაბი, აქ დავიკარგებოდე და აქვე დავიმარხებოდე“.

მართლაც შეიძლება დაიკარგოს ადამიანი ამ ვეებერთელა გვირაბში. წარმატებით შენდება ბრწყინვალე ნაგებობა, სადაც ხალხის საკეთილდღეოდ, ადამიანთა კეთილშობილური შრომის დასაღოცავად გადამუშავდება ახეულათასობით დეკალიტრი შვენიერი ქართული ღვინო.

გ. ბოჩიტაშვილი.

ყვარელი, აგვისტო.

ფიდო საათაშვილს „იალაღების მბრძანებელს“ ეძახიან. იგი გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის მოწინავე მეცხვარეა. კარგახანია ფიდო მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეთა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია და ახლა გაორკეცებული ენერგიით შრომობს, რომ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას სასახელო მაჩვენებლებით შეხვდეს. მას ცხვარი საზაფხულო საძოვრებზე თავისი სოფლის მოშორებით ახალქალაქის რაიონის მთა ალბაბაზე ჰყავს.

ამას წინათ გარდაბნელმა მშრომელებმა საზეიმოდ ჩაბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ამაში საპატიო წვლილი ფიდო საათაშვილსაც მიუძღვის.

სურათზე: მოწინავე მწყემსი ფიდო საათაშვილი.

ფოტო გ. შეფილაძისა.

მთაში, ალპურ სათიბებზე

საკვებით მდიდარია წელს მთა და ბარი. ალპურ და სუბალპურ სათიბებში ბიბინებს ხშირი წვიმებისაგან ნათამამეები ტანაყრილი ბალახი. ალპურ საძოვრებში კი იალაღობს პირუტყვი.

ლიახვის ხეობებში დიდი და პატარა მთაში პირუტყვის საკვების დამზადებაზე გაგიდნენ. პირბასრი ცელები, ფოცხები, სამთითები დაუკავებიათ სოფლის ახალგაზრდებს, კომკავშირელებს.

პატარა ლიახვის სათავეებთან, დირჯნის მთაზე ვართ. იქიდან კარგად ჩანს საგკაანთ მთები, სნეკვის სათიბები, ჭარების, ხელჩეის მთები. ჩანან მზეზე მოელვარე ცელები, სათიბებში ფოცხებით მომუშავე სოფლის ქალიშვილები, ჩქეფს ახალგაზრდული შრომა.

ახალგაზრდების ეს ჯგუფები სოფელ ქსუთისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან ამოსული მთაში ყუთიანი ალპური თივის დასამზადებლად. ხუთასზე მეტი ახალგაზრდა და გამოცდილი კოლმეურნე შრომობს თივის აღებაზე. ისინი თივას ამზადებენ იქ, სადაც სათიბი მანქანები ვერ უდგება.

ზნაურის რაიონის ქსუთისის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ხარტონ გაბარაევი თვითონ ჩასდგომია სათავეში ახალგაზრდობის შრომას თივის აღებაზე. საგკაანთ და დირჯნის მთების ფერდობებზე მცელავთა ერთ ჯგუფს მეთაურობდა კოლმეურნეობის ახალგაზრდა მერგოლური გაიოზ ალბოროვი. ეს ჯგუფი 36 ახალგაზრდისაგან შედგებოდა. მაღალნაყოფიერად შრომობენ კომკავშირელები ბაკალ ხოხაევი, სერგო ხუბაევი, გაბრიელ საგკაევი და სხვები. მცელავებს კვალდაკვალ მისდევდნენ მფოცხავები, ტანაყრილი გოგონები ზამირა ხუბაევა, ასიანთ ბესაევა, იზოლდა სიდამოხიე, ასიათ თედეევა და სხვები. ახალგაზრდებს თივის აღებაში გვერდს უმშვენებენ სოფლის აქტივისტები, ინტელიგენცია. აქ არიან სნეკვისა და ხელჩეის 8-წლიანი სკოლების მასწავლებლები ზაქარია გიგოლაური, ვლადიმერ გუჩმაზოვი.

მცელავთა მეორე ჯგუფი საბრიგადო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ისიდორე ოქროპირიძის მეთაურობით თივას იღებდა ხელჩეის მთაზე. ამ ბრიგადაში 20 ახალგაზრდა გაერთიანებულა. მათ უკვე აიღეს და ზვინებად დადგეს 40 ჰექტარზე ნათიბი. კომკავშირელი გოგონები თამარ და სონია ოქროპირიძეები, ვენერა ხუბაევა, ლუბა ტოლოშვილი, ნათელა საღირაშვილი გულმოდგინედ აგროვებენ, ჯაურ

საერთაშორისო
დეპეშები ცხელ ვიმოცლება
ცხოვრება

სტუმრად სლოვაკ ხალხთან

პრაღა, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში ჩავიდა სსრ კავშირის კომერციული მფრინავი ვალენტინა ტერეშკოვა, რომელიც ვიზიტად იმყოფება ჩეხოსლოვაკიაში.

ათეულ ათასობით ადამიანი აღფრთოვანებით მიესალმა ვ. ტერეშკოვას აეროდრომზე და ქალაქის ქუჩებში.

ვალენტინა ტერეშკოვა ეწვია სლოვაკიის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს. შემდეგ გვირგვინით შეიმკო ბრატისლავის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ძეგლი.

ბრატისლავა, 19 აგვისტო. (საკდესი). ვალენტინა ტერეშკოვა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. კამანინი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფაშისტი ოკუპანტებისაგან სლოვაკიის განთავისუფლებაში, აირჩიეს ბრატისლავის საპატიო მოქალაქეებად.

დღეს ბრატისლავის საქალაქო ეროვნული კომიტეტის სხეიმო სესიაზე მათ გადასცეს სიგელები საპატიო მოქალაქეებად არჩევის შესახებ და ქალაქის სამახსოვრო medlebი.

ბ ე ლ გ რ ა დ ი, 19 აგვისტო. (საკდესი). აქ დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ჩამოსვლისადმი იუგოსლავიაში. ჟურნალისტთა ადგილობრივ წრეებში გამოირკვა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბელგრადში ჩამოდის დაახლოებით 60 უცხოელი ჟურნალისტი, გარდა იუგოსლავიაში მუდამ აკრედიტებული ჟურნალისტებისა.

უ დ ი დ ე ს ი ინ ტ ე რ ე ს ი

იუგოსლავიის საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ ეს ვიზიტი ახალი წვლილია ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის დადებითს განვითარებაში, აღნიშნულია ტანიუგის სააგენტოს ცნობაში, რომელიც პრესისათვის გავრცელდა აქ იუგოსლავიაში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო თანამშრომლობა და მშვიდობა და განსაკუთრებით სოციალიზმის, იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილი ურთიერთობის განვითარება, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, მიაჩნია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ახალი წვლილია მშვიდობისა და საყოველთაო პროგრესის საქმეში.

ისევე გულთბილად და ყურადღებით, როგორითაც პრეზიდენტ ტიტოს შეხვდნენ საბჭოთა კავშირში შარშანდელი ვიზიტის დროს, იუგოსლავიის მშრომელები მიეს-ალმებიან საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ საპატიო სტუმარს, მშვიდობისათვის ცნობილ მებრძოლს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ხაზგასმულია ტანიუგის სააგენტოს ცნობაში.

ცნობაში აღნიშნულია, რომ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაყოფიერ თანამშრომლობას ახასიათებს განუხრელი აღმავლობა. ვითარდება ვაჭრობა.

ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია ოქმები საეციალიზაციისა და კოოპერაციის შესახებ მანქანათმშენებლობის დარგში. ამას, აღნიშნავს ტანიუგი, დიდი მნიშვნელობა აქვს იუგოსლავიისათვის, რადგან იუგოსლავიის მანქანათსაშენებელ მრეწველობას შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს დიდსერიული და რენტაბელური წარმოება.

წარმატებით სრულდება კონვენცია კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

იუგოსლავიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებას ორ ქვეყანას შორის, რადგან უდიდესი მიღწევები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა მეცნიერების, ტექნიკის დარგში, მრეწველობის განვითარებასა და სხვა დარგებში, ხელსაყრელ შესაძლებლობებს უქმნიან მეცნიერებსა და სპეციალისტებს თავიანთი გამოცდილების სრულყოფის საქმეში და იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ პრაქტიკულად გამოიყენონ, ეს გამოცდილება იუგოსლავიის პირობების შესაბამისად.

იუგოსლავია და საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალისტური ქვეყნები, წარმატებით თანამშრომლობენ. ყოველ ღონეს ხმარობენ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, ხაზს უსვამს ტანიუგი, რომ იუგოსლავიამ ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. როგორც საბჭოთა ხელმძღვანელები, ისე იუგოსლავიის ხელმძღვანელებიც სრული საფუძვლით მოელიან, ნათქვამია ტანიუგის ცნობაში, რომ შეთანხმების მიღწევის გზაზე გადადგმული ამ პირველი ნაბიჯის შემდეგ გადაიდგმება ახალი ნაბიჯი, რომელიც დაიჩქარებს ცივი ომის მდგომარეობის ლიკვიდაციის პროცესს და შესაძლებელს გახდის აღმოიფხვრას დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დაინტერესების შესაბამისად.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. დუბროვნიკი — ძველი ქალაქი-კურორტი ადრიატიკის ზღვაზე.

ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

ტელმანის ხსოვნისათვის

ბერლინი, 19 აგვისტო. (საკდესი). გერმანელ მშრომელებს, პირველ ყოვლისა, მენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ერნსტ ტელმანის ხსოვნას, რომელიც ფაშისტურ ციხეში ფაშისტებმა 1944 წლის 18 აგვისტოს ბუხენვალდის ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში, აგრეთვე ანტიფაშისტის რუდოლფ ბრაიტ-შაიდის ხსოვნას, რომელიც ამავე საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. გუშინ, ტელმანის მოკვლის მე-19 წლისთავის დღეს, ბუხენვალდში დადგმული ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლები გვირგვინებით შეიმკეს. სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ჰ. ბაიტგამმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხორციელდება გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ანდერძი.

ბუხენვალდში იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათასობით მოქალაქე, აგრეთვე ტურისტები საბჭოთა კავშირიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და საფრანგეთიდან, რომლებმაც პატივი სცეს ტელმანის ნათელ ხსოვნას.

ანტაგონიზმი მწვავდება

პარიზი, 19 აგვისტო. (საკდესი). 10 კაცი დაჭრეს და ამდენივე დააპატიმრეს გუშინ ბელგიის ჩრდილოეთ ნაწილში ფლამანდელ და ვალონელ მოსახლეობას შორის მომხდარი შეტაკების შედეგად, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

რამდენიმე ათასმა ფლამანდელმა დემონსტრანტმა მოაწყო ლაშქრობა ანტომანქანებით ნივპორტიდან ზებრიუგეში „ბელგიის სანაპიროს გაფრანგების წინააღმდეგ“ პროტესტის ლოზუნგებით.

თავიანთი მსვლელობის გზაზე დემონსტრანტები არაერთხელ წაწყდნენ ბელგიის ვალონელი მოსახლეობის კონტრდემონსტრაციებს. ოსტენდეს მიდამოებში დემონსტრანტთა მანქანებს ქვა დაუშინეს.

ახლანდელი ინციდენტები ბელგიის სანაპიროზე ერთ-ერთი გამოვლინებაა იმ ანტაგონიზმისა, რომელიც უკანასკნელ დროს გაძლიერდა ბელგიის მოსახლეობის ძირითად ჯგუფებს — ჰოლანდიერის მახლობელ ენაზე მოლაპარაკე ფლამანდელებსა და ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ვალონელებს შორის.

ინდოეთში ბამბაზეთის საკავ სენტრალური კომიტეტის ღია წერილი

დელი, 19 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთში გრიშუტად გამოვიდა საკავ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი საბოლოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყველა კოოპუნისტისადმი. გრიშუტა გამოიცა დიდი ტირაჟით ინგლისურ ენაზე, ჰინდსა, ჰინდუსტანისა და ასამის ენებზე.

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ბ ა რ ო ტ ს ე ლ ე ნ დ ს ი

აბრა, 19 აგვისტო. (საკდესი). ბარტელენდის ეროვნული კრების არჩევნებში გაიმარჯვეს ჩრდილოეთ როდეზიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის კანდიდატებმა. როგორც განა ნიუსის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ჩრდილოეთ როდეზიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის კანდიდატებმა მოიპოვეს ყველა — ოცდახუთი ადგილი.

საკდესის კომენტატორი ვ. კუზნეცოვი წერს:

ინგლისის პროტექტორატი ბაროტსელენდი მდებარეობს ინგლისის მეორე კოლონიური სამფლობელოს — ჩრდილოეთ როდეზიის ტერიტორიაზე. ასეთი არეული მდგომარეობა შეგნებულად შექმნეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა მიმდინარე საუკუნის დამდეგს. ემყარებიან რა პოლიტიკას „გათიშე და იბატონე“, კოლონიზატორები იყენებდნენ აფრიკელ ტომთა გათიშულობას, რასაც თვითონვე აძლიერებენ, კოლონიური წესების შესანარჩუნებლად.

ბაროტსელენდი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ტერიტორიაა აფრიკაში, სადაც ძალაუფლება ხელთ უპყრიათ ფეოდალთა ბელადებს ლიტუნგა (მეფე) ლევანიას მეთაურობით. ლიტუნგა და მისი ფეოდალური გარემოცვა ყოველი ღონისძიებით ეწინააღმდეგებიან რაიმე რეფორმის განხორციელებას, რომელიც შეარყევდა ფეოდალურ ძალაუფლებას.

ბაროტსელენდში გამართული არჩევნები და ჩრდილოეთ როდეზიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის გამარჯვება ამ არჩევნებში ნაბიჯია იმ გზაზე, რომ ბაროტსელენდი შეუერთდეს ახალ მოძრაობას აფრიკის კონტინენტზე. მაგრამ ეს არჩევნები, რომელიც პირველია ბაროტსელენდის ისტორიაში, მთელ ძალაუფლებას უტოვებს ლიტუნგას, რადგანაც ეროვნული საბჭოს არჩევით წევრთა რიცხვი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეგრეთწოდებულ „ტრადიციულ მრჩეველებს“, რომელთაც ლიტუნგა ნიშნავს.

ბ ე ლ გ რ ა დ ი, 19 აგვისტო. (საკდესი). მიწისძვრისაგან დაზარალებული სკოპლეს დახმარების გასაწევად და ნანგრევებისაგან ქალაქის გასაწმენდად ათი დღის წინათ იქ ჩასულმა საბჭოთა არმიის სპეციალურმა საინჟინრო ნაწილმა უკვე შეასრულა სამუშაოთა დიდი ნაწილი მისთვის გამოყოფილ ქალაქის უბანში. საბჭოთა სამხედრო ნაწილი, გარდა ამისა, დაეხმარა მიწისძვრისაგან დაზარალებული ოჯახების ევაკუაციაში.

ძ მ უ რ ი დ ა ხ ბ მ ა რ ე ბ ა

გაზეთი „პოლიტ-კა“ იუწყება, რომ უახლოეს დროში საბჭოთა მესანგრენი მიიღებენ ახალ სპეციალურ მანქანებს, რომელთა დახმარებით კიდევ უფრო დაჩქარდება ნანგრევებისაგან ქალაქის გაწმენდის სამუშაოები.



ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი გ ვ ა ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ს

☐ სამუშაოზე დაქირავების დროს დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოსულ მოპიკეტეთა შეუპოვარმა ბრძოლამ აიძულა ქალაქ ისტ-სენტ-ლუიისის (ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის შტატი) ბანკების პატრონები დათმობაზე წასულიყვნენ. გუშინ მიიღეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბანკებში სამუშაოდ აიყვანენ ოც ზანგს.

☐ იმასთან დაკავშირებით, რომ პარა ვაის დიქტატორს, გენერალ ალფრედო სტრესნერს გაუგრძელდა პრეზიდენტის რწუნებანი, პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარაგვაელ ხალხს გააძლიეროს ბრძოლა დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამ ბრძოლისათვის საჭიროა მოემზადონ „მუშათა, გლეხთა და სტუდენტთა სულ უფრო ფართო მასები“.

☐ არგენტინა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაცია ბუენოს-აირესს ჩავიდა, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს ორივე ქვეყნის-ვაჭრობის გაფართოების შესახებ. დელეგაცია ეწვია აგრეთვე ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანას, სადაც შეხვდა მთავრობის წევრების წარმომადგენლებს.

☐ ჯორჯტაუნში გამოცხადდა, რომ ბრიტანეთის გვიანის პრემიერ-მინისტრი ჩედი ჯაგანი სექტემბერში ნიუ-იორკს გაემგზავრება, რათა გამოვიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ ქვეკომიტეტში, რომელიც იკვლევს ბრიტანეთის გვიანაში არსებულ მდგომარეობას. მოგზაურობა იმან გამოიწვია, რომ ინგლისის მთავრობამ ნება არ მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქვეკომიტეტის წევრებს ჩასულიყვნენ გვიანაში და გაცნობოდნენ ამ ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებას.

☐ აბას ნინუმ ქალაქ ოსაკაში გაიმართა თათბირი, რომელზეც იაპონიის წამყვანმა სავაჭრო კომპანიებმა „იტომ“, „რინკო ბოეკიმ“ და ბეკრმა სხვამ — განაცხადეს, რომ სურთ გააფართოონ სავაჭრო ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

☐ ვენესუელის ყოფილი დიქტატორი პერეს ხიმენესი ქალაქ მაიამიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) თვითმფრინავით ჩაიყვანეს ვენესუელაში. ვენესუელის მთავრობას განზრახული აქვს გააესამართლოს იგი იმისათვის, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს მოიპარა 13,5 მილიონი დოლარი.

ინგლისელ მუენეგელთა გაფიცვა

ლონდონი, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს შეწყდა მუშაობა ინგლისისა და უელსის ყველა დიდი ქალაქის ასობით მსხვილ მშენებლობაზე. 150 ათასმა მშენებელმა მუშამ დაიწყო ერთი კვირის გაფიცვა და მოითხოვა ხელფასის მომატება და 40 საათის სამუშაო კვირის დაწესება.

გარდა ამისა, დაახლოებით 350 ათასმა მშენებელმა მუშამ უარი განაცხადა შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო.

გაფიცვას ხელმძღვანელობს სამშენებლო მრეწველობის მუშათა ეროვნული ფედერაცია, რომელშიც 20 პროფკავშირი შედის, ეს ასეთი მაშტაბის პირველი გაფიცვაა უკანასკნელ 40 წელიწადში. გაფიცვაში, კერძოდ, მონაწილეობენ მშენებელი მუშები, რომლებიც უშუალოდ ლონდონის ცენტრში, დაუნინგ სტრიტზე, № 10-ში აწარმოებენ პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენციის რეკონსტრუქციას.

მუშები დიდი მზადყოფნით გამოეხმაურნენ ფედერაციის ხელმძღვანელთა მოწოდებას გამოაცხადონ გაფიცვა.

„გაცილებით მეტი ადამიანია მზად შეწყვიტოს სამუშაო, ვიდრე ჩვენ ვვიდოდა, განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა. გაფიცვა გამოვაცხადეთ გარკვეულ მშენებლობებზე, რათა დავზოგოთ სახსრები და შეეინარჩუნოთ ძალები მოსალოდნელი ხანგრძლივი ბრძოლისათვის. თუ გაფიცვა გაქაანურდება, იგი გაფართოვდება“.

პ ა რ ი ზ ი, 19 აგვისტო. (საკდესი). ... დაწერილებით

გახდა ცნობილი, თუ როგორ დასაჯეს ფრანკისტებმა სიკვდილით ორი ჭაბუკი ანტიფაშისტი — ფრანსისკო გრანადო გატა და ხოაკინ დელგადო მარტინესი. სიკვდილით დასჯის ფაქტი შეასაუკუნეობრივი წესი მკვლელობა ფრანკისტ ჯალათთა სისხლიან სადიზმს: მსჯავრდადებულები რკინის საყელოებით ბოძს მიაჯაჭვეს, შემდეგ კი ჯალათებმა, რომლებმაც გამოიყენეს სპეციალური სამარჯვები, გადაუმტვრიეს კისრის მალები.

პარიზის ზოგიერთი გაზეთის რედაქციაში ფოსტით მოვიდა მანქანაზე გადებეჭდილი „იბერიის განთავისუფლების საბჭოს“ (ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ესპანეთისა და პორტუგალიის ყველა ანარქისტულ ფედერაციას) განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სიკვდილით დასჯილ ჭაბუკ-ანტიფაშისტებს, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ იმ ტერორისტულ აქტებში, რომელსაც მათ მიაწერენ.

ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ მრისხანე საპრობესტო განცხადება გამოაქვეყნა ფრანკისტული დიქტატურის ახალი დანაშაულის წინააღმდეგ. განცხადებაში, რომელიც ესპანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ კომპარტია მთელი ძალით ვგმობს დანაშაულებრივ ტერორის ორი ანტიფაშისტის წინააღმდეგ, რომლებსაც სამხედრო ტრიბუნალმა საგანგებო კანონების საფუძველზე, დაუსაბუთებლად, ისე, რომ არ მისცა თავის დაცვის უფლება, მართლმსაჯულების ელემენტარული ნორმების დარღვევით სიკვდილი მიუსაჯა. კომპარტია მოუწოდებს ესპანელ ხალხს გააძლიეროს ბრძოლა ფრანკისტული დიქტატურის წინააღმდეგ.

... ...

სპორტული გამოცდა ჩაბარებულია

სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე

სურათზე: საქართველოს წყალბურთელთა გუნდი, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა.

ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საუბარი საქართველოს სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარესთან გ. სიხარულიძესთან.

კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა სპორტის ისტორიაში: დამთავრდა მეგობრობის, სიჯანმრთელისა და ძლიერების ამსახველი დიდი ზეიმი — სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა.

განვლილი სპარტაკიადებისაგან განსხვავებით სპორტსმენთა მესამე ფორუმი გამოირჩეოდა ახალი რეკორდებით, მაღალტექნიკური პაექრობით.

მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე მოსკოვსა და ლენინგრადში გაწეულ ფიზკულტურულ მუშაობაზე გარკვეული წარმოდგენა რომ გვქონდა, სპარტაკიადის მაჩვენებლებში შეტანილ იქნა არა მარტო რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების, არამედ ფიზკულტურული კოლექტივებისა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შედეგები.

როდესაც სპარტაკიადაზე ვლაპარაკობთ, საქმე მარტო მის დასკვნითს ნაწილს როდი ეხება, არამედ იმასაც, თუ რა მუშაობა იქნა გაწეული სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე, რა მაჩვენებლებით მოვიდა ესა თუ ის კოლექტივი ფინალამდე.

თქვენთვის ცნობილია ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც პირველი ადგილისათვის მიმდინარეობდა უკრაინისა და მოსკოვის გუნდებს შორის. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში გამოსტაცეს ლიდერობა დედაქალაქის სპორტსმენებმა მეტოქეს. არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა პაექრობა მეოთხე ადგილისათვის.

მეხუთე ადგილი საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივისათვის ყველა მაჩვენებლით ცუდი შედეგი როდია, სსრ კავშირის მინისტრთა აბჭოს მიერ დაწესებული პრიზი კვლავ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მოვვაქვს. მაგრამ კარგი იქნებოდა როგორმე ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ და გამარჯვებაც უფრო სრულყოფილი იქნებოდა.

ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ შესაძლებლობებს და იმ დასკვნამდე, მივედით, რომ ამის ყველა საშუალება არსებობს. მაშ რა მოხდა, რამ შეგვიშალა ხელი?

ჯერ კიდევ რესპუბლიკური სპარტაკიადის დღეებში გამოირკვა ზოგიერთი ნაკლი, რომლის სწრაფმა გამოსწორებამ საშუალება მოგვეცა თითქმის ყველა სახეობაში, რაც გათვალისწინებული იყო სპარტაკიადის პროგრამით, განგვემტკიცებია კოლექტივი.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ ვოლგოგრადში ცუდად როდი ჩაიარა, ჩვენმა გოგონებმა და ჭაბუკებმა მეტად საჭირო ქულები შეგვძინეს, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საერთო მაჩვენებლებზე. სასიხარულოა, რომ არც ფიზკულტურულმა კოლექტივებმა გვიმტყუნეს. მათ მთელი რიგი საპრიზო ადგილები დაიკავეს. „სინათლის“ სპორტულმა მაჩვენებლებმა, ბრძოლისუნარიანობამ მოწონება დაიმსახურა.

და აი ჯერი მიდგა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებზე. აქ ბევრ სასიხარულო ამბავთან ერთად წვავწყდით მოულოდნელ სიურპრიზებს. საქმე ის არის, რომ ჩვენს სპორტსმენთა ერთ ნაწილს, ზოგიერთ კოლექტივს ვერ აღმოაჩინა სპორტსმენისათვის ყველაზე საჭირო და აუცილებელი — სპორტული ენინ, ნებისყოფა.

ფურორი მოახდინა ტრეკზე ჩვენმა ველოსიპედისტმა ო. ფხაკაძემ. შეუდრეკელობამ, გამარჯვების რწმენამ მას ჩემპიონობა მოუპოვა. ავიღოთ სხვა მაგალითიც, თუ გნებავთ, პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. აქ ჩვენი სპორტსმენის რ. რურუას მდგომარეობა ფინალში არცთუ სახარბიელო იყო. მაგრამ შეუპოვარმა ბრძოლამ, კოლექტივისადმი პატივისცემამ და ზრუნვამ იგი ოქროს მედლის მფლობელი გახადა. ასეთი სპორტსმენები ჩვენს კოლექტივში ცოტანი როდი იყვნენ — ვთქვათ, წყალბურთელები, მარდ. მესტენდურების მაჩვენებლები.

ჩვენ აქ დავასახელეთ ის სახეობები, რომლებისგანაც წარუმატებლობას კი არა, მხოლოდ გამარჯვებასა და ქულებს მოველოდით. შეიძლებოდა გვემჯელა აგრეთვე სხვა სახეობებზე — კრივზე, ძალოსნობაზე, წყალში მხტომელებზე, ცხენოსნებზე, ხუთჭიდელებზე, რომლებმაც დაგვაკლეს ქულები.

აბა წარმოიდგინეთ, ამ სახეობებში რომ კარგად გამოვსულიყავით, — ამის შეაძლებლობა კი იყო, — მაშინ დღეს როგორი მდგომარეობა გვექნებოდა.

მართალია, სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა ეს-ეს არის დამთავრდა, მაგრამ საქმე ამით როდი ამოიწურა. მზადება მომავალი რიცხვით მეოთხე სპარტაკიადისათვის აქედანვე უნდა დაიწყოს და იგი პირველ რიგში უნდა დაიწყოს ძირეულ კოლექტივებში, სპორტულ სკოლებსა და სასწავლებლებში.

გ. ჩიქვანაია,

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების კაპიტანი

ასეთი ტურნირი, მე ვიტყოდი, განსხვავებული, უთუოდ თავისებური ტურნირი ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა და მას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დიდ შერკინებას უწოდებენ. ჩემპიონატების საერთამორისო შეხვედრები ყოველი წლის პროგრამით გათვალისწინებული პაექრობებია და ასე თუ ისე ვიცნობთ მეტოქეთა ძალებს. მაგრამ როდესაც საქმე მიდგება რესპუბლიკათა ან მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებებზე, აქ სულ სხვა პოტენციალის კოლექტივები იყრიან თავს.

ცხადია, ამან ძირითადად განაპირობა ბრძოლათა სიმწვავე არა მარტო ფინალურ ჯგუფში, არამედ წინასწარ შეხვედრებშიც. მოსკოვის ნაკრებთან პაექრობა ძნელია. ამიტომ, ვფიქრობ, სპორტის მოყვარულები ამ ერთადერთ წარუმატებლობას მოგვიტევებენ. დანარჩენ მატჩებში (მხედველობაში მაქვს ფინალური) როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ ფარხმალი არ დაგვიყრია და მეტად მკაცრ ბრძოლაში გამოვტანეთ მეტოქეებს ორ-ორი ქულა. ამრიგად, მოვიპოვეთ 8 ქულა დასკვნითი ტურნირის 4 მატჩში.

მთელი კოლექტივი კმაყოფილია მეორე საპრიზო ადგილით. პირველ რიგში იმით, რომ საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს საკირო ქულები შეეძინეთ. ამ საერთო გამარჯვებაში არ შეიძლება არ ვახსენოთ ჩვენი მწვრთნელი ნ. გვახარია, რომელმაც ბევრი გააკეთა ასეთი მონოლითური კოლექტივის შექმნისათვის. აქვე მინდა დავძინო, რომ იგი დანიშნულია სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელად. ეს გუნდი მომავალში საპასუხისმგებლო ტურნირებისათვის მზადებას მოსკოვში გაივლის. მასში საქართველოდან შედიან გოგოლაძე, მომინოშვილი, რომანოვი და ჩიქვანაია.

საქართველოს გუნდის დანარჩენი წევრები კი ამ დღეებში პოლონეთში გაემგზავრებიან და იქ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ექნებათ.

ლ. ჟურული,

სპარტაკიადის ჩემპიონი ტყვიით სროლაში

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი გუნდი ცუდად იყო მომზადებული, მაგრამ არც სხვები იყვნენ თურმე გულხელდაკრეფილ. საერთოდ მეორე სპარტაკიადასთან შედარებით სპორტსმენები გაცილებით უკეთ მომზადებული მოვიდნენ. უჩვეულოდ ამაღლდა მსროლელთა ოსტატობა. გასულ სპარტაკიადებთან შედარებით გვაქვს პროგრესი — მეათე ადგილიდან მეცხრეზე გადმოვინაცვლეთ. მაგრამ განა ეს საკმარისია? დიდი სპორტული ტრადიციის რესპუბლიკას უთუოდ უკეთესი ადგილი შეშვენის. ისიც უნდა ითქვას. რომ თუ არა უკანასკნელ სროლაში, ჩვენ გაცილებით უკეთესი შედეგები გვექნებოდა.

ლაპარაკობენ პრიზიორები

რ. რურუა,

სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში

არასოდეს, არც ერთ სპარტაკიადაზე საქართველოს მოჭიდავეებს ისეთი წარმატება არ ჰქონიათ, როგორც სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე. სასიხარულოა ისიც, რომ კლასიკურ მოჭიდავეებს არც თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩამორჩნენ, მათაც ორი ჩემპიონი ჰყავთ, ამასთან მეორე გუნდური ადგილი მოიპოვეს. საქართველოში თავისუფალ ჭიდაობას უფრო ფართო გაქანება და ტრადიცია აქვს. ამიტომ მათს წარმატებაში ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მეორე სპარტაკიადის მესამე საპრიზო ადგილიდან ერთი საფეხურით წინ წასვლა და ვერცხლის მედლებს მოპოვება უთუოდ დიდი გამარჯვებაა.

უფრო მეტი წარმატება იქნა მოპოვებული კლასიკურ ჭიდაობაში. ამ სახეობაში მეორე სპარტაკიადაზე მხოლოდ მეექვსე ადგილზე ვიმყოფებოდით. ნახტომი წინ მეორე ადგილზე საგულდაგულო მომზადებისა და კოლექტივის მონოლითურობის შედეგია.

მართალია, ო. ეგაძემ და მე ჩემპიონობა დავიმსახურეთ, მაგრამ გული გვწყდება გვანცელაძის შედეგზე — მეორე ადგილზე. ის ხომ ნამდვილი ჩემპიონი იყო!

ჩვენი პლანეტის ამინდი

უახლოეს დღეებში სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში ამინდის ხასიათი არსებითად არ შეიცვლება. მოწმენდისას ჰაერი თანდათან გათბება. აქა-იქ თბილი წვიმები მოვა, სამხრეთში — ელჭექის ხასიათისა.

35 გრადუსი სიცხე დგას იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთსა და ბალკანეთში. ხმელთაშუა ზღვაზე წარმოშობილმა მცირე ციკლონმა წვიმები მოიტანა ალპებში, ავსტრიაში, პოლონეთში.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 45 გრადუსი — აღინიშნა მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზში, მეწამული ზღვის ნაპირზე: აქ დიდი სიმშრალე და ქვიშანი ქარებია.

ნესტიანი მუსონი განუწყვეტლივ ამარაგებს წვიმებით ინდოეთს, ბირმას, ნეპალში ძლიერმა წვიმებმა მეწყრები გამოიწვია. წყნარი ოკეანის თავზე კი განუწყვეტლივ იბადება ტროპიკული ციკლონები. იაპონიის ერთმა ტაიფუნმა გადაუარა თუ არა, მის შემდეგ მეორემ, სახელად „კარმენმა“, გრიგალი და წყლის უზარმაზარი მასები დაატეხა თავს სამხრეთ ჩინეთის ზღვას.

სიწყნარეა კარიბის ზღვისა და მექსიკის ყურეს წყლებში. კუბაზე 30 გრადუსი სითბოა, მოდის ელჭექის ხასიათის წვიმები. მექსიკაში სიცხე 35 გრადუსს აღწევს დროგამოშვებით ელჭექი მძვინვარებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცივი ჰაერი შეიჭრა ყინულოვანი ოკეანიდან და კანადიდან, იქ კი თოვს და ტემპერატურა ნულის ახლო დგას.

სამხრეთ ნახევარსფეროში ზამთარი გადის, გაზაფხული მოახლოვდა. ყინვები ანტარქტიდის სანაპიროზე შესუსტდა, მაგრამ ქარბუქი უკან არ იხევს.

ვ. ჩერნოვა,
პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

საქართველოს სპორტსმენთა გუნდური შედეგები

1. ტყვიის სროლა — IX ადგილი
2. ძალოსნობა — VII ადგილი
3. ველოსპორტი გზატკეცილი — XV ადგილი
4. აკადემიური ნიჩბოსნობა — VIII ადგილი
5. კალათბურთი ვაჟები — VII ადგილი
   „ ქალები — XIII ადგილი
6. კრივი — VIII-IX ადგილი
7. თავისუფალი ჭიდაობა — II ადგილი
8. კლასიკური ჭიდაობა — II ადგილი
9. წყალბურთი — II ადგილი
10. ფრენბურთი ვაჟები — III ადგილი
11. „ — ქალები — VIII ადგილი
12. ტანვარჯიში — IV ადგილი
13. მძლეოსნობა — IX ადგილი
14. ცურვა — V ადგილი
15. თანამედროვე ხუთჭიდი — X ადგილი
16. ჩოგბურთი — V ადგილი
17. მაგიდის ჩოგბურთი — V ადგილი
18. ფარიკაობა — V ადგილი
19. ჭადრაკი — VI ადგილი
20. სასტენდო სროლა — VIII ადგილი
21. საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე — VI ადგილი
22. წყალში ხტომა — VIII ადგილი
23. ველოსპორტი (ტრეკი) — VI ადგილი
24. ცხენოსნობა — IX ადგილი

ვერცხლის მედალოსნები

მოსკოვი, 19 აგვისტო. (სპეც. კორ.). სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის უკანასკნელი აკორდი 18 აგვისტოს შეხვედრები იყო ჩოგბურთში ფინალებით. სწორედ ამ დღის ასპარეზობებს უნდა გამოეკლინებინა ახალი ჩემპიონები, პრიზიორები პირად შეჯიბრებაში.

თორმეტ დღეს მიმდინარეობდა უძლიერესთა ეს პაექრობა. სასიხარულოა, რომ გარდა შერეული წყვილებისა ფინალში ვხედავდით საქართველოს წარმომადგენლებს — ი. ერმოლოვას, ა. მეტრეველსა და ნ. მძინარიშვილს.

ყურადღების ცენტრში იყო ერთეულთა შეჯიბრება ვაჟებს — თ. ლეიუსსა და ა. მეტრეველს შორის. დასაწყისში მეტრეველმა კარგად წარმართა ბრძოლა და თამაშიც მას მიჰყავდა, მაგრამ შემდეგ დაუშვა შეცდომები, დაკარგა წონასწორობა და დამარცხდა 6:8, 2:6, 6:4, 2:6.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ქალთა ერთეულების ფინალი ძველ მეტოქეთა — დ. ტრიეევასა და ერმოლოვას შორის. აქაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს წარმატება არ ჰქონია, გამარჯვება დმიტრიევამ ანგარიშით 6:3, 6:2.

ჩემპიონები ქალთა წყვილებში გახდნენ დმიტრიევა და ბაქშევა, რომელებმაც ფინალში მოუგეს ტოროშენასა და ერმოლოვას 6:2, 6:1. ვაჟთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლეიუსელიხაოვი და მეტრეველი-მძინარიშვილი. გაიმარჯვეს ლეიუსმა და ლიხაჩოვმა 6:4, 6:4, 6:0.

ამრიგად, საქართველოს ჩოგბურთელებმა 5 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, რაც დიდი წარმატებაა. ჩემპიონატის ვბირი იყო თ. ლეიუსი, რომელმაც ოთხი ოქროს მედალი მიიღო.

სურათზე: ქართველი ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და ნ. მძინარიშვილი, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲥᲝᲛᲘ

გუშინ თბილისის დინამოელებმა ბაქოში ადგილობრივ „ნეფტიანიკთან“ ჩაატარეს პირველი წრის უკანასკნელი მატჩი და მიაღწიეს დამაჯერებელ გამარჯვებას — 3:1. „დინამოს“ ორმა უკანასკნელმა გამარჯვებამ დიდად გაახარა მისი გულშემატკივრები. გუნდი, გახსაკუთრებით თავდასხმა, დიდი მონდომებით, შეთანხმებულად თამაშობს.

„დინამოსა“ და „ნეფტიანიკის“ გუშინდელი მატჩი თავიდანვე მწვავედ დაიწყო. უკვე მეშვიდე წუთზე იამანიძე-კალოევის მოხდენილი კომბინაცია გოლით დამთავრდა. ტაიმის დასასრულს ბაქოელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

მეორე ტაიმი თბილისელებმა კვლავ შეტევით დაიწყეს და საჯარიმოდან გათამაშებული კომბინაცია გოლით დააგვირგვინა კალოევმა. და როცა ანგარიში გახდა 2:1, ბაქოელებმა რამდენიმე მძლავრი შეტევა განახორციელეს, მაგრამ ჩვენი დაცვა წარმატებით უმკლავდებოდა მტოტქეს. ტაიმის ბოლოს თბილისელთა ერთ-ერთი შტურმი ბარჭაიას შესანიშნავი გოლით დამთავრდა.

ამ მოგებით ჩვენი დინამოელები გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე არიან და ლიდერს მოსკოველ „დინამოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

თბილისელები ბაქოში თამამობდნენ ასეთი შემადგენლობით: ლეჟავა, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოსელი, ზეინალიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარჭაია, მესხი.

გუშინდელი მატჩი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ თბილისელებმა პირველად თავიანთ ქალაქში ნახეს მატჩი, რომელიც ჩვენს ქალაქში არ შემდგარა. საქართველოსა და აზერბაიჯანის რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების მეცადინეობით მოეწყო მატჩის ტრანსლაცია ტელევიზიით. ეს პირველი ცდა წარმატებით დამთავრდა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 18 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	19	10	7	2	20—6	27
„დინამო“ (თბ.)	19	10	6	3	33—18	26
„ზენიტი“ (ლ.)	20	9	8	3	29—19	26
სკა (როს.)	19	9	6	4	30—15	24
„სპარტაკი“ (მ.)	19	11	2	6	34—21	24
„დინამო“ (მინ.)	19	8	8	3	26—16	24
ცსკა	19	7	10	2	14—7	24
„ნეფტიან.“ (ბ.)	19	9	4	6	26—21	22
„ტორპედო“ (ქ.)	19	6	10	3	13—10	22
„დინამო“ (კ.)	19	8	5	6	33—27	21
„შახტიორი“ (დ.)	19	6	8	5	12—13	20
„ტორპედო“ (მ.)	19	6	7	6	24—21	19
„კარატი“ (ალ.)	19	7	4	8	16—22	18
„ლოკომოტ.“ (მ.)	19	3	9	7	17—23	15
„ავანგარდი“ (ხ.)	20	5	5	10	13—29	15
„კრ. სოვეტ“. (ლ.)	19	5	4	10	20—25	14
„მოლდ“. (კიშ.)	19	3	8	8	14—25	14
„არარატი“ (ე.)	20	5	3	12	20—31	13
„დინამო“ (ლ.)	20	0	9	11	11—31	9
„შახტაკ“. (ტ.)	19	1	5	13	13—39	7

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲡ

მოსკოვი, 18 აგვისტო. (სკდესი). მოსკოვის არც ერთ გუნდს ჯერ კიდევ სეზონში არ წაუგია ერთ გუნდთან ქულების ასეთი სხვაობით. პირველად ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები აღმოჩნდნენ ასეთი მრისხანე მეტოქენი მოსკოველებისათვის. ჯერ მათ მოუგეს მოსკოვის „ტორპედოს“, შემდეგ მოსკოვში „ლოკომოტივსა“ და ამჟამინდ ცენტრალურ სასპორტო კლუბს, დღეკი დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერები — მოსკოვის დინამოელები. ამრიგად ხუთ შეხვედრაში მათ დაგროვეს რვა ქულა.

მატჩის დაწყების წინ საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა ქუთაისის მთელ რიგ მოთამაშეებს: „სპარტაკთან“ დამარცხების შემდეგ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად მოვიგებთ „დინამოსთან“. სპარტაკელები თასის მფლობელები და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ხართ, ნოდარ დინამოელები ლიდერები, რომელთა შეჩერება ჩვენ შეგვიძლია.

მატჩის მსაჯის ვ. ტოლჩინსკის სასტვენის ხმაზე გუნდები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: „დინამო“ — იაშინი, კეესარეევი, რიაბოვი, მუფრიკი, მასლოვი, ცარიოვი, ჩისლენკო, ვშივცევი, გუსაროვი, ,ოროლენკოვი, ფადეევ; „ტორპედო“ — ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორადე, ცხოვრებოვი, კუტიკაძე, ნიშნიანიძე, ხაჟალია, მუმლაძე, სირაძე, სიამაშვილი, ჩხარტიშვილი.

მასპინძლები ოთხ გამარჯვებას მოელოდნენ. მაგრამ პირველი ტაიმის ნახევარში ნათელი გახდა, რომ დინამოელები გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ. ქუთაისელები ძალიან ენერგიულად უტევდნენ „დინამოს“ კარს, ხოლო თავიანთ ნახევარზე ჩაეტილი ჰყავდთ მოსკოვის ინერტულად მოქმედი თავდამსხმელები. პირველი ტაიმი აღინიშნა ორმხრივი შეტევებით და დამთავრდა ფრედ — 0:0.

სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ სტუმრებმა მაყურებლებს უჩვენეს ნამდვილი ტექნიკური თამაში, 55-ე წუთზე სიამაშვილმა მოზლაძის მიწოდების შემდეგ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი ამ მატჩში. დინამოელები — ჩემპიონატის ლიდერები ეცადნენ გათანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ მათ შეტევებს წარმატება არ მოჰყოლია, „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის მაყურებლებმა გულთბილად გააცილეს გამარჯვებულნი, რომლებიც მხოლოდ მეორე წელია გამოდიან ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ჩემპიონატში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

□ **18 აგვისტოს** ხარკოვში გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდისა“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს ხარკოველებმა ანგარიშით 1:0.

□ **გასულ** კვირადღეს თბილისში გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და აშხაბადის „სტროიტელის“ გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ Ჯ. Ჯ. ᲥᲝᲯᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲠᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

შეიძინა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ჯ. ჯ. კობახიძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ანჯაფარიძე (თავმჯდომარე), დ. ანთაძე, გ. გეგეჭკორი, ვ. გოძიაშვილი, ვ. კუპრავა, პ. მურღულია, ც. თაყაიშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ა. ძიძიგური.

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯ. ჯ. კობახიძის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 24 აგვისტოს, დღის 4 საათზე.

გამოსვენება კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან.

სამოკალაქო პანაშვიდი 24 აგვისტოს 3 საათზე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 აგვისტო

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მხატვრული ფილმი „უშიშარი და უმწიკლო“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — უფროსკლასელთათვის — „კომკავშორული აქტივის ტრიბუნა“, 18.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — განცხადებები, 18.55 — დოკუმენტური ფილმი, 19.55 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „მეტი ყურადღება სანაწყვერალო კულტურებს“, 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — ქართული რომანსები და სიმღერები, 20.55 — მხატვრული ფილმი „უშიშარი და უმწიკლო“, 22.25 — ახალი ამბები.

20 აგვისტო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარი** ბაღი, **გაზაფხული, ისანი** (საზამთრო), **საქართველო** ((მწვანე დარბაზი და საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი** — ინდოეთის ახალი კინოფილმების ფესტივალი, **სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის** კულტურის სახლი, **გორკის სახელობის** კულტურის სახლი, **